იურიდიული დახმარების სამსახური

2019 – 2022 წწ.

საერთაშორისო პარტნიორების შეფასებები იურიდიული დახმარების სამსახურში 2019-2022 წლებში განხორციელებულ რეფორმებთან მიმართებით

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კელი დეგნანის წერილი სამსახურს - „საინტერესო იყო იურიდიული დახმარების სამსახურის მუშაობის გაცნობა საქართველოს მასშტაბით, უფრო კონკრეტულად კი აჭარის რეგიონში. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით გამოვლენილმა ენერგიამ და დამოკიდებულებამ საქართველოს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისადმი. მოუთმენლად ველი თქვენთან შეხვედრას მომავალში ჩვენი დისკუსიების გასაგრძელებლად. შეერთებული შტატები განაგრძობს ერთგულ თანამშრომლობას იურიდიული დახმარების სამსახურთან, რათა მომავალშიც მხარი დავუჭიროთ საქართველოს მოქალაქეებისთვის იურიდიული დახმარების სერვისებზე ხელმისაწვდომობას."

Usaid - ის დემოკრატიის მმართველობისა და სოციალური განვითარების ოფისის დირექტორის კომენტარი - ჩვენ ვართ თანამონაწილე და პარტნიორი იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმების, მაგრამ ამავდროულად შთამბეჭდავია პროგრესი. მთელი საქართველოს მოსახლეობისათვის თანდათან ღრმავდება სამსახურის ყველა სერვისის ხელმისაწვდომობა;

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის (EECA) მოსამართლეთა რეგიონული ფორუმის მეოთხე შეხვედრის შეფასება - რომელსაც ესწრებოდნენ ბელორუსიის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, მოლდოვას, ტაჯიკეთის, უკრაინისა და უზბეკეთის წარმომადგენლები აღინიშნა, რომ საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განხორციელებული რეფორმები შთამბეჭდავია და არსებობს სურვილი მათი აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში დანერგვის;

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის თანამშრომლობის პროგრამების განყოფილების უფროსის მოადგილის ლილიტ დანეგიან - ბოსლერის კომენტარი - სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ სამსახურის მიერ განხორციელებულ რეფორმებს და მივიჩნევ, რომ ის, როგორც წარმატებული მოდელი დანერგილ უნდა იქნეს აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც;

სამსახურის ბიუჯეტი 2019-2023 წლებში

2019 წლიდან 2023 წლამდე იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუჯეტი გაიზარდა **4 000 000** ლარით. კერძოდ:

- ***2019 წელი** – 6 400 000 ლარი;*
- ***2020 წელი** - 6 800 000 ლარი;*
- ***2021წელი** - 7 300 000 ლარი;*
- ***2022 წელი** - 8 170 500 ლარი;*
- ***2023 წელი** - 10 400 000 ლარი;*

საერთაშორისო (დონორი) ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა 2019-2022 წლებში

2019 – 2022 წლებში, დონორ ორგანიზაციებთან წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად სამსახურმა მიიღო მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება. კერძოდ:

- ***2019 წელს** - 105 060.67 ლარის გრანტი;*
- ***2020 წელს** -76 071,59 ლარის გრანტი;*
- ***2021 წელს** - 82 000 აშშ დოლარისა და 101 995,55 ლარის გრანტი;*
- ***2022 წელს** - 40 028,41 აშშ დოლარისა და 4 000,00 ლარის გრანტი;*

საერთაშორისო (დონორი) ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელებული საქმიანობა/პროექტები

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა

- იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასების ახალი წესის შემუშავება და დანერგვა;
- სამსახურის ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაზრდაში მხარდაჭერა (ახალი საკონსულტაციო ცენტრების გახსნა);
- ხარისხის უზრუნველყოფისათვის მენტორობის მექანიზმის შემუშავება;
- იურიდიული საქმისწარმოების მართვის ელექტრონული სისტემის (case-bank) განახლება (საქმეთა ავტომატური განაწილების მოდულით, ადვოკატთა თანაბარი დატვირთულობის უზრუნველყოფის ფუნქციითა და ხარისხის კონტროლის ეფექტური მექანიზმით;
- სამსახურის შინაგანაწესის განახლება;
- მობილური აპლიკაციის შექმნა ბენეფიციარის მხრიდან ანონიმური მიმოწერის ფუნქციონალით;
- ბენეფიციარის კმაყოფილების კვლევის კითხვარის შემუშავება;
- სამსახურის საიტის განახლება (https://new.legalaid.ge/);
- თანამშრომელთა გადამზადება;
- სასწავლო მოდულების შემუშავება;
- მოძრაობის - „ვაქციოთ კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომის“ ფარგლებში რეგიონებში საინფორმაციო-საკონსულტაციო გასვლითი ღონისძიებების მხარდაჭერა;
- რეგიონებში ნაფიც-მსაჯულთა იმიტირებული პროექტების ჩატარებაში მხარდაჭერა;
- პარალეგალების გადამზადება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მხარდაჭერა;
- მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;
- საინფორმაციო ბროშურების ბეჭდვა;
- საბჭოს გასვლითი სხდომების დაფინანსება;

Council of Europe, ევროპის საბჭო

- სასწავლო ცენტრის განვითარება;
- მოძრაობის - „ვაქციოთ კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომის“ ფარგლებში რეგიონებში საინფორმაციო-საკონსულტაციო გასვლითი ღონისძიებების მხარდაჭერა;
- თანამშრომელთა გადამზადება;
- იურიდიული დახმარების სამსახურის საკანონმდებლო ბაზისა და შიდა რეგულაციების გადახედვა და შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან;
- ხელოვნური ინტელექტის დანერგვის ხელშეწყობა;
- სამართლებრივი მასალის (ბროშურები, ტრიპლეტები, სხვა საინფორმაციო მასალის) ბეჭდვა;
- სამსახურის ცნობადობის ასევე, საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერებისათვის ვიდეო - რგოლების დამზადება;

- მენეჯმენტის ტრენინგ მოდულის შემუშავება;

UNHCR, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი

- თანამშრომელთა გადამზადება;
- მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;
- სასწავლო მოდულების მომზადება;
- სამსახურში ვიწრო სპეციალიზაციის დანერგვა;
- ხელოვნური ინტელექტის პროგრამაში თავშესაფრის მაძიებელთა საკითხების ჩაშენება;
- კვალიფიციური თარჯიმნების რეესტრის შექმნა;

OHCHR, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი

- სამსახურის ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაზრდაში მხარდაჭერა (წეროვანში დისტანციური საკონსულტაციო ცენტრის გახსნა);
- თანამშრომელთა გადამზადება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მხარდაჭერა;
- ბენჩ-ბარის ჩატარება;

UNICEF, გაეროს ბავშვთა ფონდი

- თანამშრომელთა გადამზადება;
- იურიდიული დახმარების სამსახურის ბავშვთა ვებგვერდის www.children.las.ge შექმნაში მხარდაჭერა;

UN WOMAN, გაეროს ქალთა ორგანიზაცია

- თანამშრომელთა გადამზადება;
- სასწავლო მოდულების მომზადება;

UNDP, გაეროს განვითარების პროგრამა

- ქსელური ტექნიკის მიწოდება, რომლის საშუალებითაც რეგიონებში მოხდა ინტერნეტის და შიდა ქსელური მუშაობის სიჩქარის გაზრდა.

იურიდიული დახმარების სამსახურში 2019 – 2022 წლებში განხორციელებული რეფორმები

I. სამსახურის ხელმისაწვდომობა

<u>გამოწვევა</u>

2019 წლისათვის სამსახურის ტერიტორიული ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა, ვინაიდან, სამსახური რეგიონებში წარმოდგენილი იყო 13 იურიდიული დახმარების ბიუროსა და 7 საკონსულტაციო ცენტრით. შესაბამისად, ცენტრებისაგან მოშორებულ სოფლებსა თუ ქალაქებში მცხოვრებ მოსახლეობას ესაჭიროებოდა მნიშვნელოვანი მანძილის დაფარვა სამართლებრივი კონსულტაციისა თუ იურიდიული დახმარების მისაღებად. გამოწვევა იყო ასევე ხელმისაწვდომი სერვისები.

<u>გადადგმული ნაბიჯები</u>

(1) ტერიტორიული ხელმისაწვდომობა

- **2019 წელს,** სამსახურმა გახსნა 1 იურიდიული დახმარების ბიურო, 3 საკონსულტაციო ცენტრი და 1 დისტანციური მომსახურების ცენტრი. კერძოდ:

- გურიის - ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიურო;
- დუისის საკონსულტაციო ცენტრი;
- შუახევის საკონსულტაციო ცენტრი;
- ცაგერის საკონსულტაციო ცენტრი;
- წეროვნის დისტანციური მომსახურების ცენტრი;

- **2020 წელს,** სამსახურმა გახსნა 16 საკონსულტაციო ცენტრი. კერძოდ:

• ჭიათურის საკონსულტაციო ცენტრი, ლაგოდეხის საკონსულტაციო ცენტრი, ხობის საკონსულტაციო ცენტრი, დუშეთის საკონსულტაციო ცენტრი, დმანისის საკონსულტაციო ცენტრი, ყვარლის საკონსულტაციო ცენტრი, აბაშის საკონსულტაციო ცენტრი, მარტვილის საკონსულტაციო ცენტრი, სენაკის საკონსულტაციო ცენტრი, ჩხოროწყუს საკონსულტაციო ცენტრი, წალენჯიხის საკონსულტაციო ცენტრი, ქედას საკონსულტაციო ცენტრი, ხულოს საკონსულტაციო ცენტრი, ქობულეთის საკონსულტაციო ცენტრი, წყალტუბოს საკონსულტაციო ცენტრი, ბაღდათის საკონსულტაციო ცენტრი.

- **2021 წელს,** სამსახურმა გახსნა 5 საკონსულტაციო ცენტრი. კერძოდ:

- დედოფლისწყაროს საკონსულტაციო ცენტრი;

- ახმეტის საკონსულტაციო ცენტრი;
- ლენტეხის საკონსულტაციო ცენტრი;
- ონის საკონსულტაციო ცენტრი;
- ხაშურის საკონსულტაციო ცენტრი;

- **2022 წელს,** სამსახურმა გახსნა 1 იურიდიული დახმარების ბიურო და 7 საკონსულტაციო ცენტრი. კერძოდ:

- გურჯაანის იურიდიული დახმარების ბიურო;
- ხონის საკონსულტაციო ცენტრი;
- ლანჩხუთის საკონსულტაციო ცენტრი;
- ხარაგაულის საკონსულტაციო ცენტრი;
- სამტრედიის საკონსულტაციო ცენტრი;
- ვანის საკონსულტაციო ცენტრი;
- ტყიბულის საკონსულტაციო ცენტრი;
- ადიგენის საკონსულტაციო ცენტრი;

(2) ხელმისაწვდომი სერვისები

1. საკონსულტაციო მობილური აპლიკაცია

2021 წელს, შეიქმნა საკონსულტაციო მობილური აპლიკაცია, სადაც უფასო იურიდიულ კონსულტაციას მიიღებენ 3 კატეგორიის ბენეფიციარები:

- ძალადობის მსხვერპლი ქალები;
- ბავშვები;
- წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლები;

მობილური აპლიკაციით შესაძლებელია კონსულტაციის მიღება ანონიმურად.

აპლიკაცია ხელმისაწვდომია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მცხოვრები პირისთვის. აპლიკაციის ჩამოტვირთვა შესაძლებელია, როგორც „ანდროიდის“, ისე „აიოესის“ მეშვეობით.

2. სამსახურის ვებგვერდები

2.1. ბავშვთა ვებგვერდი

2021 წელს, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა იურიდიული დახმარების სამსახურის ბავშვთა ვებგვერდი - www.children.las.ge.

ვებგვერდზე წარმოდგენილია მოზარდებისათვის საინტერესო და სასარგებლო ინფორმაცია, როგორც იურიდიულ თემებზე, ასევე, ფსიქოლოგიურ, სოციალურ საკითხებზე. ვებგვერდზე განთავსებულია ფორუმი, სადაც მოსწავლეები და მშობლები მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავენ. გარდა ამისა, მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია მხატვრული ლიტერატურა და ფილმები.

საბავშვო ვებგვერდი შემოქმედებითად ინოვაციურია. მას ჰყავს ერთგვარი „მასპინძელი“ სახელად „ლილი“ - ეს არის ანიმაციური ფიგურა - „უფლებადამცველი/ადვოკატი“ ქალი, რომელიც ყველა ბავშვის მეგობარია და „ბავშვურ“ ენაზე განუმარტავს მოზარდებს, თუ როგორ უნდა ისარგებლონ ვებგვერდით, როგორ უნდა მოიქცნენ, როცა პოლიცია გააჩერებთ და სხვა რჩევებს აძლევს საიტის სტუმრებს სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

ვებგვერდი შვიდენოვანია (ქართული, ინგლისური, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, ოსური და აფხაზური) და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის (სმენადაქვეითებული, სუსტი მხედველობის და მხედველობის არმქონე).

2.2. სამსახურის ვებგვერდი ე.წ. „ჭკვიანი საიტი“

2021 წელს, დაიწყო სამსახურის ახალი ვებგვერდის შექმნა https://new.legalaid.ge/.

განახლებულ ვებგვერდზე შესაძლებელია, როგორც სამსახურის (ისტორია, მანდატი, თანამშრომლები, ოფისები, სტატისტიკა, საჯარო ინფორმაცია და ა.შ.), ასევე, სამსახურში მიმდინარე პროექტების, დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება.

სხვა მრავალ სიახლესთან ერთად, ბენეფიციარებს ექნებათ შესაძლებლობა სტანდარტული კითხვების მონიშვნით მიიღონ პირველადი კვალიფიციური სამართლებრივი კონსულტაცია.

ვებგვერდის სიახლეა, ასევე, "აირჩიე ადვოკატი"-ს ბლოკი, სადაც მომხმარებელს უფლება აქვს, მინიჭებული კოდის საშუალებით აირჩიოს ადვოკატი კონკრეტული მიმართულებით.

ვებგვერდს გააჩნია, ასევე, მომსახურების შესახებ საჩივრის წარდგენის ფუნქცია. შევსებული ინფორმაცია ავტომატურად გადამისამართდება სამსახურის კონკრეტულ ერთეულთან და მოხდება შესაბამისი რეაგირება.

ვებგვერდი სამენოვანია (ქართული, ინგლისური, რუსული) და მიმდინარეობს ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის (სმენადაქვეითებული, სუსტი მხედველობის და მხედველობის არმქონე).

ორივე ვებგვერდს აქვს ე.წ. „ჩათის“ ფუნქცია, სადაც შესული შეტყობინებები გადამისამართდება მობილურ აპლიკაციაში და მომხმარებელი კონსულტანტისგან მიიღებს შესაბამის კვალიფიციურ პასუხს.

(3) მანდატის გაფართოება

2019 წელს, ცვლილება განხორციელდა „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში და ცვლილების თანახმად, 2020 წლის 1 სექტმბრიდან სამსახურს დაევალა არასრულწლოვანთა წარმომადგენლობა ყველა საქმეზე, სამართლის დარგის მიუხედავად, თუ საქმეში არ მონაწილეობს მის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით).

2020 წელს, ცვლილება განხორციელდა „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში და ცვლილების თანახმად, 2021 წლის 1 იანვრიდან სამსახურის მანდატი გავრცელდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, სამართლის დარგის მიუხედავად;

2021 წლის 1 იანვრიდან, გადახდისუუნარო პირისთვის ხელმისაწვდომი გახდა უფასო იურიდიული დახმარება ყველა კატეგორიის სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეებზე საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით;

2022 წლიდან, სამსახურის ინიციატივით მანდატი გაფართოვდა სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1] მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის ან/და 126[1] მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული პირისათვის თუ ის გადახდისუუნაროა ან წარადგენს კანონით გათვალისწინებულ მტკიცებულებებს მცირე შემოსავლებთან დაკავშირებით.

II. სამართლებრივი მომსახურების ხარისხი

<u>გამოწვევა</u>

სამსახურში USAID/Prolog-ის მხარდაჭერით 2016 წელს მოქმედებდა შეფასების სისტემა, რომლის შექმნაც ხორციელდებოდა 3 წლის მანძილზე და მასში ჩართული იყო არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ექსპერტი და დაიხარჯა მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი. თუმცა, შეფასების სისტემა სამსახურის ადვოკატების სარჩელის საფუძველზე, სასამართლომ ბათილად სცნო ნაწილობრივ და მიუთითა, რომ ის ხელყოფდა ადვოკატის დამოუკიდებლობის, პერსონალური ინფორმაციის დამუშავების და კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპებს.

სამსახურში არსებობდა მიუღებლობა, ზოგადად შეფასების სისტემის მიმართ, მრავალი კითხვის-ნიშანი მის შინაარსთან დაკავშირებით და საფრთხეები ადვოკატის დამოუკიდებლობის ხელყოფასთან მიმართებით.

მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობდა იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის (Case-bank) შევსებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე ფერხდებოდა, როგორც სტატისტიკის და საჯარო ინფორმაციის დამუშავება, ასევე, შეფასების სისტემის ფუნქციონირება. შეუძლებელი იყო ადვოკატების დატვირთულობის და საქმისწარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ანალიზი.

<u>გადადგმული ნაბიჯები</u>

(1) ხარისხის შეფასების ახალი სისტემა

2019 წელს, 3 თვეში (მარტი - მაისის თვეში), სამსახურის შიდა ადამიანური რესურსითა და შესაბამისი მიმართულების დირექტორის მოადგილის აქტიური ჩართულობით, საერთაშორისო სტანდარტებზე და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, შეიქმნა იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების ახალი სისტემა.

ახალი შეფასების სისტემა წარედგინა და მან დადებითი შეფასებები დაიმსახურა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, ასევე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტების, იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, ასევე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის, გერმანიის ადვოკატთა ინსტიტუტის დირექტორისა და გერმანიის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის მიერ.

ახალი შეფასების სისტემა სამსახურის დირექტორის მიერ, წარედგინა იურიდიული დახმარების საბჭოს და დამტკიცდა საბჭოს 2020 წლის 4 ივლისის N75 გადაწყვეტილებით.

შეფასების წესი და კრიტერიუმები დაეფუძნა ადვოკატის დამოუკიდებლობის, პროფესიული საიდუმლოების (კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების დაუშვებლობა) და პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპებს.

იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 4 ივლისის N 75 გადაწყვეტილებით დამტკიცებული, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ, გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების მიხედვით:

1. შეფასებას დაექვემდებარა ადვოკატის დასრულებული საქმე;
2. შეფასებას დაექვემდებარა საქმე, რომელშიც არის ბენეფიციარის თანხმობა შეფასების მიზნებისათვის მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ;
3. არ ხდება ადვოკატის მიერ, ბენეფიციართან შეთანხმებული საქმის წარმართვის სტრატეგიის შეფასება (საქმის წარმართვის სტრატეგიას განსაზღვრავს ადვოკატი ბენეფიციართან შეთანხმებით). შესაბამისად, არ ხდება ბენეფიციარისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის დამუშავება (ადვოკატს კანონით აქვს აკრძალული გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია);
4. შეფასების სისტემა არ არის მიმართული ადვოკატის მიმართ რაიმე სახის დასჯის მექანიზმის გამოყენებისაკენ. სამართლებრივი მომსახურების ხარვეზების შემთხვევაში, ადვოკატს წარმოეშობა გადამზადების კურსების გავლის ვალდებულება;
5. შეფასების მეთოდები მისაღები და აპრობირებულია ყველა სახის სამართლებრივი მომსახურების შეფასებისას, მათ შორის, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ისე ევროპის განვითარებული ქვეყნების კერძო იურიდიულ ფირმებსა თუ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სამართლებრივი დახმარების სისტემებში, მათ შორის სასამართლო სისტემაში.

იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 4 ივლისის N 75 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ახალი შეფასების სისტემა უზრუნველყოფს, რომ

1. ბენეფიციარმა იცოდეს მისი უფლებები და საქმის გარემოებები, საქმის განვითარების შესაძლო მიმართულებები და შედეგები;
2. ადვოკატს ჰქონდეს ბენეფიციართან საკმარისი და სათანადო კომუნიკაცია;
3. ადვოკატი იცნობდეს საქმის მასალებს და მომზადებული გამოცხადდეს სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ და სხვა ორგანოებში, სასამართლოს სხდომებზე, საგამოძიებო თუ სხვა მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად;
4. ადვოკატმა განახორციელოს ბენეფიციართან შეთანხმებული მოქმედებები/საქმის წარმართვის სტრატეგია, რომლის შერჩევა სრულად ადვოკატისა და ბენეფიციარის დისკრეციას განეკუთვნება;
5. ადვოკატმა იცოდეს ბენეფიციართან, სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ ორგანოებში და ა.შ. სათანადო კომუნიკაციის წესები;
6. ადვოკატი იყოს ორგანიზებული და დროულად გამოცხადდეს სასამართლოში, პროცესის მწარმოებელ და სხვა ორგანოებში, სასამართლოს სხდომებზე, საგამოძიებო თუ სხვა მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად;

7. ადვოკატს ჰქონდეს საპროცესო და მატერიალური სამართლის ცოდნა და ასევე, მხარდაჭერა იმ შემთხვევაში, თუ მას სხვადასხვა სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით ექნება კონსულტაციის მიღების საჭიროება.

იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 4 ივლისის N 75 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ, გაწეული იურიდიული კონულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების საფუძველზე შეიქმნა მხარდამჭერთა ჯგუფი.

იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 22 აგვისტოს N77 გადაწყვეტილებით, დამტკიცდა მხარდამჭერთა ჯგუფის დებულება.

მხარდამჭერთა ჯგუფი შედგება იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებრივი ადვოკატებისაგან. მხარდამჭერთა ჯგუფი ახორციელებს საზოგადოებრივი ადვოკატების სამართლებრივ მხარდაჭერას. მხარდამჭერთა ჯგუფისათვის მიმართვა არის ნებაყოფლობითი. მხარდამჭერთა ჯგუფს, საქმის შესახებ ინფორმაცია ადვოკატის მიერ მიეწოდება დეპერსონალიზებული ფორმით.

მხარდამჭერთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ადვოკატისათვის და აქვს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი.

მხარდამჭერთა ჯგუფი უზრუნველყოფს, რომ ადვოკატს ჰქონდეს შესაძლებლობა, მისი კოლეგებისაგან მიიღოს გარკვეული განმარტებები და გაიგოს მათი მოსაზრება რთული, კომპლექსური და განსხვავებული საქმეების წარმოებისას.

სამსახურის დირექტორის 2020 წლის 26 ოქტომბრის ბრძანებით LA 5 20 00001236, მხარდამჭერთა ჯგუფები შეიქმნა, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, სისხლის სამართლის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, არასრულწლოვანთა და ნაფიც მსაჯულთა განსჯადი საქმეების მიმართულებით.

2020 წელს, მხარდამჭერთა ჯგუფის მიერ გაიმართა ოთხი შეხვედრა, აქედან ორი დაეთმო ადვოკატთა მიმართვების განხილვას, ხოლო ორი შეხვედრა წარიმართა ღია სხდომის სახით.

2021 წელს, ხარისხის შეფასების სისტემის ფარგლებში, საზოგადოებრივი ადვოკატების მიერ, გაიმართა 15 შეხვედრა ადვოკატთა მიმართვების, ასევე, სხვადასხვა სამართლებრივი საკითხების განხილვის, პრაქტიკული თუ თეორიული პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებისა და საერთო მიდგომების ჩამოყალიბებისათვის.

2022 წელს, ხარისხის შეფასების სისტემის ფარგლებში, საზოგადოებრივი ადვოკატების მიერ, გაიმართა 3 შეხვედრა ადვოკატთა მიმართვების ასევე სხვადასხვა სამართლებრივი საკითხების

განხილვის, პრაქტიკული თუ თეორიული პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებისა და საერთო მიდგომების ჩამოყალიბებისათვის.

პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, 2022 წელს განხორციელდა ხარისხის შეფასების სისტემის გადახედვა.

იურიდიული დახმარების საბჭომ 2022 წლის 27 ნოემბრის N107-ე გადაწყვეტილებით დაამტკიცა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები. შეფასების სისტემის ძირითადი მიდგომები დარჩა უცვლელი, თუმცა დეტალურად გაიწერა ადვოკატის/კონსულტანტის „სამართლებრივი მომსახურების სტანდარტები“ („ღირსების კოდექსი“) და მათ შესაბამისად, საქმეთა შეფასების წესი.

შეფასების სისტემის განახლებაში ჩართული იყო USAID/Rolp-ის მხარდაჭერით საერთაშორისო სამართლებრივი ფონდის (ILF) ექსპერტი, ბატონი ალან დაჰლი.

„სამართლებრივი მომსახურების სტანდარტები“ („ღირსების კოდექსი“) ეფუძნება საერთაშორისო სამართლებრივი ფონდის (ILF) მიერ შემუშავებულ 10 ძირითად სტანდარტს. კერძოდ:

სტანდარტი 1. *დროული წარმომადგენლობა;*
სტანდარტი 2. *კლიენტზე ორიენტირებული ადვოკატირება;*
სტანდარტი 3. *ადვოკატირება არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებისათვის;*
სტანდარტი 4. *საქმის დამოუკიდებელი გამოძიება;*
სტანდარტი 5. *საქმეზე სათანადო მომზადება;*
სტანდარტი 6. *საქმეში სათანადო ექსპერტების/სპეციალისტების ჩართვა;*
სტანდარტი 7. *წინასასამართლო სხდომაზე წარმომადგენლობა;*
სტანდარტი 8. *სასამართლო პროცესზე კლიენტის დაცვა;*
სტანდარტი 9. *სასჯელის შემსუბუქება;*
სტანდარტი 10. *გასაჩივრება;*

იურიდიული დახმარების საბჭოს 2022 წლის 27 ნოემბრის N107-ე გადაწყვეტილებით დამტკიცებულმა შეფასების სისტემამ დაამკვიდრა მენტორის ინსტიტუტი.

სამართლებრივი ფონდის (ILF) ექსპერტ ბატონ ალან დაჰლის ჩართულობით შეიქმნა „მენტორის სახელმძღვანელო წესები“.

მენტორი არის სამართლის კონკრეტულ სფეროში კვალიფიციური და პრაქტიკული გამოცდილების მქონე იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი, რომელიც ადვოკატს (რომელსაც განესაზღვრა მენტორი) უზიარებს თავის ცოდნასა და გამოცდილებას, უწევს მხარდაჭერას საქმესთან დაკავშირებით სტრატეგიის განსაზღვრაში ან/და საქმისათვის საჭირო აქტივობების დაგეგმვაში და

საჭიროების ან/და წინამდებარე წესებით დადგენილ შემთხვევაში ერთვება საქმეში წარმომადგენლობის განხორციელებისათვის;

მენტორის პროგრამის მიზანია ადვოკატის/კონსულტანტის პროფესიული გაძლიერება, მისი ხელშეწყობა და მხარდაჭერა კლინეტისათვის კვალიფიციური და ეფექტური იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების მიწოდებისათვის. მენტორი უზრუნველყოფს ადვოკატის/კონსულტანტის მიერ „სამართლებრივი მომსახურების სტანდარტით“ დადგენილი ვალდებულებების ეფექტურად და მაღალი ხარისხით შესრულებას;

მენტორის პროგრამა ეფექტური ინსტრუმენტია ადვოკატის/კონსულტანტის უნარებისა და ცოდნის განსავითარებლად და გასაძლიერებლად, რადგან ის ქმნის ცოდნისა და გამოცდილების მუდმივი გაცვლისა და სწავლის საშუალებას. მენტორინგი ავითარებს ადვოკატების/კონსულტანტების პრობლემების იდენტიფიცირების, ახალი გადაწყვეტილებების პოვნის, ასევე, ახალი ტექნიკისა და სტრატეგიების პრაქტიკაში გამოყენების უნარებს;

მენტორისა და ადვოკატის ურთიერთობის საფუძვლებია ურთიერთთანამშრომლობა, აზრთა გაცვლა/გაზიარება საქმეზე საუკეთესო შედეგის მისაღებად. მენტორი წარმოადგენს დამატებით ინტელექტუალურ რესურსს ადვოკატისათვის;

მენტორი არ წარმოადგენს ადვოკატის/კონსულტანტის ზედამხედველს ან/და მაკონტროლებელს. ამასთან, მენტორი არ წარმოადგენს ადვოკატის/კონსულტანტის დამხმარეს. საქმეზე „სამართლებრივი მომსახურების სტანდარტით“ დადგენილი ვალდებულებების უშუალოდ შესრულება ეკისრება ადვოკატს/კონსულტანტს;

მენტორინგი ქმნის უფრო კომპეტენტურ, კვალიფიციურ, პროაქტიულ და თავდაჯერებულ ადვოკატს, რომელსაც უკეთ შეუძლია დაიცვას კლიენტის უფლებები;

2020 წელს, მომსახურების ხარისხის შეფასებისათვის:

- სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველოს იურისტების მიერ განხორციელდა ბენეფიციართა კმაყოფილების კვლევა სატელეფონო გასაუბრების გზით, სულ გამოკითხულ იქნა - 98 ბენეფიციარი.

- სისხლის სამართლის საქმეებზე იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველოს იურისტების მიერ განხორციელდა ბენეფიციართა კმაყოფილების კვლევა სატელეფონო გასაუბრების გზით, სულ გამოკითხულ იქნა - 91 ბენეფიციარი, ხოლო 224 ბრალდებულთან პენიტენციურ დაწესებულებაში გაიგზავნა ბენეფიციართა კმაყოფილების კვლევის დოკუმენტი.

2020 წლის 1 სექტემბრიდან - 19 ოქტომბრამდე, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველოს მიერ განხორციელდა იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ონლაინ (facebook) გაწეული კონსულტაციების მონიტორინგი.

2021 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ, გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების საფუძველზე შეფასდა 222 საქმე. მათ შორის:

- სისხლის სამართლის მიმართულებით დასაქმებული ადვოკატთა ნაწარმოები - 176 საქმე;
- სამოქალაქო სამართლის მიმართულებით დასაქმებული ადვოკატთა ნაწარმოები - 27 საქმე;
- ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით დასაქმებული ადვოკატთა ნაწარმოები - 19 საქმე;

2022 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ, გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების საფუძველზე შეფასდა 301 საქმე. მათ შორის:

- სისხლის სამართლის მიმართულებით დასაქმებული 89 ადვოკატთა ნაწარმოები 263 საქმე;
- სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით დასაქმებული 22 ადვოკატთა ნაწარმოები 38 საქმე;

(2) სასწავლო ცენტრი

იურიდიული დახმარების საბჭოს 2019 წლის 2 დეკემბრის N69 გადაწყვეტილებით იურიდიული დახმარების აპარატში შეიქმნა იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი.

2021 წელს, პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით მოწვეული ექსპერტის მიერ შემუშავდა სამსახურის სასწავლო ცენტრის სტრატეგია. პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) მხარდაჭერით (USAID/PROLOG) 2021 წელს, ექსპერტის მიერ შეიქმნა იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრის 5 წლიანი სტრატეგიის დოკუმენტი (2021-2026).

სასწავლო ცენტრის ფარგლებში სამსახურის თანამშრომლებისათვის ჩატარდა არაერთი ტრენინგი.

❖ **2019 წელს, ჩატარდა** 20 ტრენინგი. ჩატარებული ტრენინგები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- საოჯახო სამართალი, ბავშვის უფლებები, კანონმდებლობა და საერთაშორისო ვალდებულებები;
- საგამოძიებო მოქმედებები, მტკიცებულებები და მტკიცების საგანი სისხლის სამართლის პროცესში;
- სასჯელის დანიშვნა და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება;

- საოჯახო სამართლის აქტუალური საკითხები;
- სამოქალაქო საქმისწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში;
- მემკვიდრეობითი სამართლის აქტუალური საკითხები;
- რელიგიის თავისუფლება;
- თავშესაფრის პროცედურები და საერთაშორისო სტანდარტები;
- ეფექტური სამართალწარმოება გენდერული თანასწორობის საკითხებზე;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სამართლებრივი რეგულირება;
- ანგარიშ(ებ)ის ანალიტიკური წერის შესახებ;
- მენეჯმენტის უნარები;
- თავშესაფრის სისტემისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხები;
- ადვოკატის უნარ-ჩვევები და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ჩარჩო;
- ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამართლებრივი დახმარების საკითხები;
- UNWOMEN-ის წინაშე წარსადგენი ანგარიშ(ებ)ის - როგორც ნარატიული ისე ფინანსური წერის ტექნიკა;
- გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება, მონაცემთა შეგროვება და ევროპის საბჭოს სტამბოლის კონვენციის მონიტორინგის მექანიზმი;
- „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულება“;
- "ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ, მონაცემთა აღრიცხვა ევროპის საბჭოს სტამბოლის კონვენციის სტანდარტების შესაბამისად";
- „ბავშვთა მიმართ სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის შესახებ“;

❖ **2020 წელს**, ჩატარდა 33 ტრენინგი. ჩატარებული ტრენინგები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- მემკვიდრეობითი სამართალი - კომლის საკუთრება;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოყენება (მე-5 და მე-8 მუხლები);
- ბავშვთა ბულინგი, ბავშვთა მიმართ და ოჯახში ძალადობა;
- აუცილებელი მოგერიება და აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილი დანაშაული;
- არასრულწლოვანების უფლებების დაცვა;
- პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა;
- ეფექტიანი კომუნიკაციის უნარები;
- ტესტის შედგენის მეთოდოლოგია;
- არასრულწლოვანების უფლებების დაცვა - ტრენერთა ტრენინგი;
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება: იძულებითი და წინასასამართლო ზომების გამოყენება;
- ბრძოლა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ;

- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები;
- ტრენინგის ციკლის მართვა;
- მოქალაქეობის არქონის საკითხები და თავშესაფრის მაძიებლები;
- მოქალაქეობის არქონის საკითხები;
- მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები;
- ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები და თანამედროვე ტენდენციები;
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის საკითხებზე ამერიკის შეერთებული შტატების ვისკონსინის ადვოკატების ექვსკვირიანი ტრენინგი საპროცესო უნარების შესახებ;

❖ **2021 წელს,** ჩატარდა 51 ტრენინგი. ჩატარებული ტრენინგები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- „სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეგულირების მექანიზმი“;
- ,,სამართლებრივი მართლწერა''.
- ,,მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში'';
- „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები'';
- ,,ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ძალადაკარგულად გამოცხადება, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგები, კეთილსინდისიერი შემძენის უფლება'';
- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები, საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები“;
- ,,ბავშვის საუკეთესო ინტერესი'';
- ,,კლიენტთან, მათ შორის არასრულწლოვან კლიენტთან ადვოკატის კომუნიკაცია'';
- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაცია, მათი უფლებების საერთაშორისო სტანდარტები“;
- „წამების აკრძალვა“;
- „ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის საკითხები“;
- „განახლებული იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის (Case Bank) გამოყენება“;
- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლება“;
- „სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის საკითხების სამართლებრივი რეგულირება და „ლგბტქ“ ადამიანების საჭიროებები“;
- „იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის (Case Bank V7) შესახებ“;
- „ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრში (ბარნაჰუსი) ჩართული პროფესიონალებისთვის“;
- დისტანციური ტრენინგი იურიდიული დახმარების სამსახურის მობილურ აპლიკაციასთან დაკავშირებით;
- „ადამიანის უფლებების სტანდარტთა გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში“;

- „ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგი“;
- "უდანაშაულო პირის განზრახ პასუხისგებაში მიცემა";
- "დისკრიმინაციის აკრძალვა და პირადი ცხოვრების უფლება";
- "ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობა";
- "უკანონო დაკავება ან დაპატიმრება/ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უკანონო მოთავსება ან დაკავება";
- „ყველა ჩართული უწყების თანამშრომლის მომზადება ინტეგრირებული მომსახურების (ბარნაჰუსი) კონცეფციის და სტანდარტული ოპერაციული პროცედურების მიმართულებით“;
- „სქესობრივი დანაშაული“;
- „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტთან დაკავშირებით საპროცესო უნარები“;
- „ლტოლვილთა სამართალი“;

❖ **2022 წელს**, ჩატარდა 25 ტრენინგი. ჩატარებული ტრენინგები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- „ტრავმა-ინფორმირებული პრაქტიკის დანერგვა სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის სისტემაში“;
- „ყველა ჩართული უწყების თანამშრომლის მომზადება ინტეგრირებული მომსახურების (ბარნაჰუსი) კონცეფციის და სტანდარტული ოპერაციული პროცედურების მიმართულებით“;
- „ბავშვთა უფლებების შესახებ ჩაღრმავებული კურსი კონსულტანტ-ოპერატორებისთვის“;
- **„**ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფციითა და სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით გათვალისწინებულ საკითხებზე’’;
- „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება იურიდიული დახმარების სამსახურში’’;
- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები’’;
- „სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის საკითხების სამართლებრივი რეგულირება და ლგბტქ ადამიანის საჭიროებები’’;
- „სექსუალური ძალადობის საკითხები’;
- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები’’;
- „ქალთა უფლებები’’;
- „ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგი’’;
- „კონსულტაციის გაცემის სტანდარტები იურიდიული დახმარების სამსახურში‘’;
- „წამება დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა’’;
- „ წამების აკრძალვისა და სიცოცხლის უფლების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები’’;
- „იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო (Case Bank) და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (eFlow) სისტემებით სარგებლობა’’;
- „ბავშვის საუკეთესო ინტერესის უპირატესობა“;
- „წერილობითი კონსულტაციებისა და სამსახურის აპლიკაციაში მუშაობის სტანდარტები’’;
- „ დანაშაულისა და ძალადობის მსხვერპლი და მოწმე ბავშვები’’;
- „სასამართლო უნარების სასწავლო კურსი“;

2021-2022 წლებში, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ექსპერტების მიერ სამსახურის სასწავლო ცენტრისათვის მომზადდა 6 ტრენინგ მოდული.

(3) ხშირად დასმული კითხვები

2022 წელს, 4 თემასთან დაკავშირებით მომზადდა ხშირად დასმული კითხვები. კერძოდ:

- „გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (UN OHCHR)“ საქართველოში, მხარდაჭერით, შეიქმნა მოდული სახელწოდებით: „შეზღუდული შესაძლებობების მქონე პირთა უფლებები“;
- გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (UN OHCHR) საქართველოში, მხარდაჭერით მომზადდა ხშირად დასმული კითხვები თემაზე - წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა;
- USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის (USAID RoLP), მხარდაჭერით მომზადდა ხშირად დასმული კითხვები თემაზე - ქალთა უფლებები;
- USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის (USAIS RoLP), მხარდაჭერით მომზადდა ხშირად დასმული კითხვები თემაზე - ტრეფიკინგი, ადამიანით ვაჭრობა;
- USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის (USAID RoLP), მხარდაჭერით მომზადდა ხშირად დასმული კითხვები თემაზე - შეზღუდული შესაძლებობების მქონე პირთა უფლებები;

ხშირად დასმული კითხვები გაუმარტივებს კონსულტანტებს ყველაზე მოთხოვნად სამართლებრივ საკითხებზე სწრაფად და კვალიფიციურად კონსულტაციის გაცემას.

(4) ხელოვნური ინტელექტი

2021 წელს, გერმანულ კომპანიასთან - KNOWLEDGETOOLS დაიწყო მოლაპარაკებები ხელოვნური ინტელექტის დანერგვასთან დაკავშირებული პროგრამის სამსახურისათვის უსასყიდლოდ გადმოცემის შესახებ.

2022 წლის 7 სექტემბერს, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურსა და გერმანულ კომპანია “KnowledgeTools International Gmbh” - შორის ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. შეთანხმება მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრამდე პროგრამა „LOGOS“ - ის გამოყენებას იურიდიული დახმარების სამსახურის მუშაობის დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციისათვის.

გერმანულმა კომპანიამ, საპილოტედ, უფასოდ გადმოსცა იურიდიული დახმარების სამსახურს აღნიშნული პროგრამა და თავიანთი ხარჯებითვე მოახდინეს პროგრამაში სამართლის ორი მიმართულების ინჟინერია (ალიმენტის მოთხოვნა, უღირს მემკვიდრედ ცნობა).

მითითებული გერმანული კომპანიის დახმარებით ხელოვნური ინტელექტი წარმატებით დაინერგა ბუნდესტაგისა და გერმანიის რამდენიმე სამინისტროს სერვისებში.

იურიდიული დახმარების სამსახური არის პირველი უწყება საქართველოში, რომელიც პრაქტიკულ საქმიანობაში, იურიდიული კონსულტაციების გაცემისას ხელოვნურ ინტელექტს იყენებს.

ინოვაციური სერვისი, რომელიც უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემაში დაინერგა, მნიშვნელოვნად გაზრდის ხელმისაწვდომობას იურიდიულ დახმარებაზე და დაზოგავს კონსულტანტებისა და ბენეფიციართა დროს.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება იძლევა შესაძლებლობას ბენეფიციარებს მაქსიმალურად მოკლე დროში გაეწიოთ წერილობითი კონსულტაცია. მომზადდეს კვალიფიციური სარჩელები და განცხადებები, რომლებიც სამართლებრივად დასაბუთებული იქნება, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითებით.

გარდა დაზოგილი რესურსისა, სამსახურს ექნება ერთიანი ხარისხი და მიდგომა გაწეული კონსულტაციების მიმართ, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს გაწეული კონსულტაციების ხარისხის უზრუნველყოფას.

2021 წლის 30 სექტემბერს, „შერატონ მეტეხი პალასში“, იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა კონფერენცია „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება იურიდიული დახმარების სამსახურში“. კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოში ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენციაზე ონლაინ რეჟიმში გერმანიიდან ჩაერთნენ კომპანია „ნოულიჯ თულს ინთერნეიშენალის“ (Knowelidge Tools International) დამფუძნებელი თილო ვენდი, სამართლის ინჟინერი ოსკარ ფონ კოსელი. ხელოვნური ინტელექტის ალგორითმის პროგრამა მიმოიხილა შტეფან ბრაიდენბახმა, ხოლო პროგრამის პრაქტიკული პრეზენტაცია წარადგინა ლადო სირდაძემ.

კონფერენციის მონაწილეებმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს იურიდიული დახმარების სამსახურს ინოვაციური პროექტის განხორციელებაში.

2022 წლის 13 ოქტომბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზებით და ევროპის საბჭოს COE მხარდაჭერით გაიმართა კონფერენცია - დისკუსია „სამართლის დიგიტალიზაცია - მომავალი არის დღეს“.

კონფერენციის ფარგლებში ჩატარდა პანელური დისკუსია. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა KnowledgeTools International GmbH-ის დირექტორმა თილო ვენდიმ. პანელურ დისკუსიაში მონაწილეობდნენ: პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანი, შტაინბაისის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი ხუბუა, სამართლის ინჟინერი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ლადო სირდაძე, ევროპის საბჭოს ოფისი

საქართველოში - ხელმძღვანელის მოადგილე სტეფან სირდუ, სამართლის დოქტორი, ბტუ კვლევების ცენტრის დირექტორი, ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ზვიად გაბისონია, კომპანია „METRIC - იურიდიული და ფინანსური კონსულტაცია“ დამფუძნებელი პარტნიორი ლაშა კალანდაძე.

კონფერენციას ესწრებოდნენ იურიდიული წრეების, საადვოკატო კორპუსის წარმომადგენლები, მოსამართლეები, სამართლის სფეროში მოღვაწე მეცნიერები და სტუდენტები. კონფერენციის ბოლოს მონაწილეებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას „ხელოვნური ინტელექტი და სამართლის დიგიტალიზაცია, მოძრაობა - მომავალი არის დღეს“ .

(4) იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის (Case-bank) განვითარება

2019 წელს, იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Case-bank) ინფორმაციის სისრულის მიზნით, სამსახურის აპარატიდან მივლინებულ იყვნენ თანამშრომლები, რომლებმაც განახორციელეს ადვოკატების დახმარება ინფორმაციის ასახვასთან დაკავშირებით. ამასთან, სტატისტიკური ინფორმაციის სრულყოფის მიზნით შემუშავდა სპეციალური ყოველთვიური ანგარიშის ფორმები. პარალელურად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და დაიწყო იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის (Case-bank) ანალიზი, მისი განახლების მიზნით.

სტატისტიკური მონაცემების სრულყოფილად დამუშავების მიზნით, 2019 წლის 30 აპრილს, იურიდიული დახმარების საბჭომ დირექტორის მიმართვის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატის ყოველთვიური ანგარიშგების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ, რომლითაც რეესტრის ადვოკატებს დაევალათ ყოველთვიური სტატისტიკის სამსახურისათვის წარდგენა.

იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემა (Case-bank) წარმოადგენს სამსახურის ხარისხის შეფასების ერთ-ერთ მთავარ საშუალებას. ამასთან, იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემით (Case-bank) მუშავდება სამთავრობო გეგმებიდან გამომდინარე და სხვა სახის საჯარო ინფორმაციაზე მოთხოვნის შესახებ სტატისტიკური მონაცემები.

2022 წელს განახლდა იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემა (Case-bank), რომელიც უზრუნველყოფს:

- საქმეების ელექტრონულ განაწილებას ავტომატურ რეჟიმში, ადვოკატთა რეალური დატვირთულობისა და ვიწრო სპეციალიზაციის გათვალისწინებით;
- ბიუროების/ადვოკატების რეალური დატვირთულობის გამოთვლას;
- საქმეების კატეგორიისა და სირთულის მიხედვით ადვოკატისთვის სავალდებულოდ განსახორციელებელი აქტივობების ავტომატურ განსაზღვრას;

- GPS კოორდინატების სისტემატიზაციას, ადვოკატის მიერ განხორციელებული აქტივობის დადასტურების მიზნით;
- ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მარტივად და სწრაფად ასახვის შესაძლებლობას;
- მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ ადვოკატთა მოდულის შერწყმას და ადაპტირებას ბიუროს ადვოკატთა მოდულთან, ერთიანი ბაზის შექმნის მიზნით;
- ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის პირველად დადასტურებას საქმის განაწილებისას;
- ადვოკატის მიერ აქტივობებზე დახარჯული დროის გამოანგარიშებას;
- დაცვის ორდერის ელექტრონულად გამოწერას და აღრიცხვიანობას;
- ხარისხის შეფასების მიზნებისთვის საჭირო ინფორმაციის ეფექტურ დამუშავებას;
- კონსულტაციის მიზნებისთვის სტანდარტული შეკითხვების პაკეტების იდენტიფიცირებას და სისტემატიზაციას შესაბამისი საკონსულტაციო საკითხების მიხედვით;
- სტატისტიკის წარმოებას განახლებული და დეტალიზებული ძებნის პარამეტრებით;
- სისტემის მომხმარებლისთვის, სისტემის გამოყენების ინსტრუქციის მარტივ ხელმისაწვდომობას;
- მობილური აპლიკაციის/ვებგვერდის გამოყენების შესაძლებლობას, რომელსაც გააჩნია ისეთი ფუნქციები, როგორიცაა:
  - ✓ კალენდარული შეხსენება;
  - ✓ დაგეგმილი/განხორციელებული აქტივობების თაობაზე ინფორმაციის ასახვა;
  - ✓ საქმის მასალების სკანირება და ატვირთვა;
  - ✓ GPS მონიტორინგის სისტემა;

სისტემა იძლევა შესაძლებლობას, სტატისტიკური ინფორმაცია დამუშავდეს ორი დამოუკიდებელი საშუალებით:

- დეტალიზებული ძებნის პარამეტრები;
- გრაფიკული სტატისტიკა - რეპორტები;

გრაფიკული სტატისტიკიდან შესაძლებელია ინფორმაციის მიღება:

- ადვოკატის მიერ დახარჯული დროის შესახებ, რომელიც მოიცავს: აქტივობების დასახელებას, აქტივობების რაოდენობას ჯამურად, მათ შორის: განხორციელებული, განუხორციელებელი და განუსაზღვრელი აქტივობების რაოდენობას ცალ-ცალკე, აქტივობებზე ფაქტობრივად დახარჯული დროის (საათების) რაოდენობას;
- ინფორმაციას ადვოკატთა მორიგეობისა და გაცდენების შესახებ;
- ინფორმაციას ადვოკატთა მოძრაობის შესახებ (GPS კოორდინატების მითითებით);
- ინფორმციას ბიუროსა და ადვოკატთა დატვირთულობის შესახებ;
- და სხვა.

(5) ადვოკატთა სპეციალიზაცია

1. განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიურო

იურიდიული დახმარების საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის N86 გადაწყვეტილებით საქართველოს მასშტაბით შეიქმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიურო, რომელიც შემდგომ გაიყო 2 ნაწილად, აღმოსავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიურო და დასავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიურო

განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიუროს ექვემდებარება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის გადაცემული საქმეები ასევე სტრატეგიული სამართალწარმოებისათვის მნიშვნელოვანი სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები. განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ბიუროები ასევე, უფლებამოსილნი არიან განახორციელონ მენტორობა სხვა საქმეებთან დაკავშირებით.

2. სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო

2022 წლის 27 ნოემბრის N104-ე გადაწყვეტილებით შეიქმნა სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო. სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ექვემდებარება პენიტენციურ დაწესებულებაში კონსულტაციების გაწევა, ასევე, შემდეგი სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები: 1.1. სისხლის სამართალი: ა) საპროცესო შეთანხმების გაფორმების საფუძვლით შემოსული საქმეები; ბ) მოწმის, დაზარალებულის სტატუსის მქონე პირთა საქმეები; გ) განაჩენის აღსრულების ეტაპზე შემოსული საქმეები; 1.2. სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი: ა) თავშესაფრის მაძიებელთა, საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, გაუქმების ან თავშესაფრის მიცემის საკითხთან დაკავშირებით შემოსული საქმეები; ბ) არასრულწლოვანის მშობლისგან განცალკევებასთან, ნახვის დღეების განსაზღვრასთან, მინდობით აღზრდასთან, მშობლის უფლების შეზღუდვასთან, ჩამორთმევასთან დაკავშირებული დავები; გ) არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების/ვადის გაგრძელების შესახებ შემოსული საქმეები; დ) სამედიცინო დავები; ე) შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული დავები; ვ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/სავარაუდო მსხვერპლთა ინტერესების დასაცავად შემოსული საქმეები;

ვიწრო სპეციალიზაცია ხელს შეუწყობს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას და უფლებების ეფექტურად დაცვას.

3. ბავშვის უფლებების დაცვის იურიდიული დახმარების ბიურო

წლის 23 იანვრის N110 გადაწყვეტილების შესაბამისად, შეიქმნა ბავშვის უფლებების დაცვის იურიდიული დახმარების ბიურო და პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული ბავშვის უფლებების დაცვის იურიდიული დახმარების ბიუროს ფორმირება.

ბავშვის უფლებების დაცვის იურიდიული დახმარების ბიუროს გადაეცემა არასრულწლოვნებთან დაკავშირებული საქმეები და ამ მიმართულებით სპეციალიზებული ბიურო ხელს შეუწყობს ბავშვის უფლებების ეფექტურად დაცვას.

(6) ფსიქოლოგთა რეფორმა

საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ ამოქმედების შემდგომ, ასევე, დაზარალებულებთან მიმართებით სამსახურის მანდატის გაზრდიდან გამომდინარე, გამოიკვეთა საქმეებში ფსიქოლოგთა ჩართვის, ალტერნატიული ფსიქოლოგიური ექსპერტიზების ჩატარების და ფსიქოლოგიური დასკვნების მომზადების საჭიროება, რამაც საფუძველი ჩაუყარა ორგანიზაციის საქმიანობაში ფსიქოლოგების ჩართვის აუცილებლობას (დასაქმება).

2022 წლის 27 ნოემბრის N104-ე გადაწყვეტილებით სამსახურის აპარატში შეიქმნა ფსიქოლოგიური და სოციალური კვლევების სამმართველო.

2022 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის ფსიქოლოგები, როგორც ადვოკატთა მოთხოვნის, ასევე, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ჩართული იყვნენ სისხლის და სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის საქმეებში და მათ მიერ მომზადებულ იქნა არაერთი ფსიქოლოგიური დასკვნა, რომელიც საფუძვლად დაედო სასამართლო გადაწყვეტილებებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამსახურის ფსიქოლოგები, სავარაუდო სექსუალური ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვნებთან ატარებდნენ შეხვედრებს კონსულტირების ფორმატში.

სამსახური გეგმავს შექმნას ფსიქოლოგთა რეესტრი საქართველოს მასშტაბით, რომლებიც საქმეში ჩაერთვებიან სამსახურის მიმართვისა და სხვა საჭიროების შემთხვევაში. პროექტს მხარი დაუჭირა USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამამ (USAID/Rolp).

(7) მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატების ანაზღაურება

იურიდიული დახმარების საბჭოს, 2019 წლის 30 აპრილის N67–ე გადაწყვეტილებით მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატების ანაზღაურება გაიზარდა 20 პროცენტით.

სამსახურმა 2019 წელს დაიწყო მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატების ანაზღაურების სისტემის გადახედვა.

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის ანაზღაურების ახალი მოდელი დაფუძნებულია გერმანულ მოდელზე, რომელიც გულისხმობს ადვოკატის ანაზღაურებას წინასწარ დადგენილი ტარიფების მიხედვით. ტარიფების დიაპაზონი იცვლება კონკრეტული საქმის სირთულის, სტადიის, კატეგორიის, დავის ღირებულების, განხორციელებული აქტივობებისა და

საქმეზე დამდგარი შედეგების შესაბამისად. აღნიშნული მოდელით, თითოეულ საგამოძიებო/საპროცესო ან სხვა მოქმედებას მინიჭებული აქვს კონკრეტული ფულადი ღირებულება, ხოლო საქმის სტადიას, კატეგორიას, დავის ღირებულებას (შესაბამისი დიაპაზონებით), დასაცავ პირთა რაოდენობას, დამდგარ შედეგს და სხვა მაკვალიფიცირებელ გარემოებებს მინიჭებული აქვს შესაბამისი რიცხობრივი კოეფიციენტი.

ადვოკატისთვის საქმის გადაცემისას, მას ერთჯერადად ერიცხება საქმეში ჩართვის თანხა, რომელიც ასევე, წინასწარ არის დადგენილი საქმის სირთულიდან გამომდინარე. ასევე, შესაბამისი სტადიის დასრულებისას, საქმეზე განხორციელებულ აქტივობებზე დადგენილი ფულადი თანხის ოდენობები მრავლდება მაკვალიფიცირებელი გარემოებების კოეფიციენტებზე და მიღებული თანხის ოდენობა დამატებით ეძლევა ადვოკატს, როგორც შრომითი სარგო.

აღსანიშნავია, რომ განხორციელებული აქტივობების შესრულების დადასტურება სამსახურისთვის ხდება ავტომატურ რეჟიმში, იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის (Case Bank) მეშვეობით და ადვოკატს აღარ სჭირდება აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტების ფიზიკური სახით წარმოდგენა.

(8) იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატთა/კონსულტანტთა ანაზღაურება

- სამსახურში განხორციელებული რეფორმების შედეგად გათანაბრდა რეგიონებისა და თბილისის თანამშრომელთა ხელფასები და განხორციელდა ხელფასების ზრდა.

- სამსახურში დაინერგა წარმატებული საქმეებისათვის ჯილდოს გაცემის წესი. კერძოდ, 2022 წელს 35 თანამშრომელზე გადანაწილდა 42 500 ლარის ჯილდო, კატეგორიების მიხედვით.

(9) სამართლებრივი პროტოკოლები

სამსახურშ დადგინდა სპეციალური პროტოკოლების შექმნა, რომლებიც ადვოკატებს დაეხმარებათ სპეციალიზებულ დავებში სრულყოფილი და ეფექტური წარმომადგენლობის განხორციელებაში.

საკითხის აქტუალურობისა დ პეციფიკიდან გამომდინარე, სამსახურში დაწყებულია სამედიცინო სამართლის შესახებ პროტოკოლის შექმნა.

(10) ანალიტიკური კვლევები

ანალიტიკური კვლევები მნიშვნელოვანია მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესებისა და სამსახურის ინსტიტუციური განვითარებისათვის.

ანალიტიკური სამმართველოს მიერ განხორციელდა კვლევა „მოსამართლის პროფილის მნიშვნელობა პროგნოზირებად მართლმსაჯულებაში“.

საპილოტე კვლევა მიზნად ისახავდა საზოგადოებრივ ადვოკატთა პროფესიულ გაძლიერებას, რაც მიიღწევა მოსამართლეთა პროფილების შესწავლით. აღნიშნული უზრუნველყოფს ბენეფიციარისათვის პროგნოზირებადი მართლმსაჯულებისა და განჭვრეტადი იურიდიული მომსახურების შეთავაზებას.

III. საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება

<u>გამოწვევა</u>

საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს სამსახურის ერთ-ერთ ვალდებულებას. სამსახურში არ არსებობდა საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით კონკრეტული ხედვა ან სტრატეგია.

<u>გადადგმული ნაბიჯები</u>

(1) საინფორმაციო-საკონსულტაციო ღონისძიებები

2019 წლიდან სამსახური აქტიურად ახორციელებს გასვლით საინფორმაციო-საკონსულტაციო ღონისძიებებს საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით.

2019 წელს, საქართველოს 87 ქალაქსა და სოფელში ჩატარდა 117 გასვლითი საინფორმაციო-საკონსულტაციო ღონისძიება.

მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაციები შემდეგ სამართლებრივ საკითხებზე:

- იურიდიული დახმარების სამსახური და მისი სერვისები;
- მიწისა და უძრავი ქონების რეგისტრაცია - სისტემური და სპორადული რეგისტრაცია;
- საკუთრების უფლების წარმოშობა;
- მემკვიდრეობა და მემკვიდრეთა უფლებები;
- მხარდაჭერის მიმღებად ცნობა და მხარდამჭერის დანიშვნის წესი და პროცედურები;
- საბანკო ვალდებულებები;
- სოციალური უფლებები;
- სოციალური პროგრამები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები;
- ქალთა უფლებები;
- ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის საკითხები;
- მოქალაქეობის მოპოვების საკითხები;
- ემიგრაცია, იმიგრაცია და მიგრანტთა უფლებები;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და ჯარიმები;
- სახელშეკრულებო უფლებები და ვალდებულებები;
- საკრედიტო ვალდებულებები;
- ბიზნესის დაწყების შესაძლებლობები;
- დამცავი და შემაკავებელი ორდერის გამოცემის წესი და პროცედურები;
- თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრების როლი და ფუნქციები;
- ბულინგი და ბავშვთა უფლებები;
- ნაადრევი ქორწინების, მშობლისა და შვილის უფლებები;
- არასრულწლოვანთა მიმართ სქესობრივი დანაშაულები;

- სექსუალური შევიწროება;
- დევნილთა უფლებები;
- თანასწორობის უფლება;
- სამეზობლო დავები;
- და ა.შ.

2020 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურმა მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩაატარა 31 გასვლითი საინფორმაციო, საკონსულტაციო ღონისძიება.

მოსახლეობას ინფორმაცია მიეწოდა შემდეგ სამართლებრივ საკითხებზე:
- უფასო სამართლებრივი დახმარების მოქმედი სისტემა და დახმარების მიღების კრიტერიუმები;
- ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობა;
- მიწის რეგისტრაციის საკითხები;
- ბავშვის უფლებათა დაცვა;
- სამართლებრივი რჩევები სტარტაპერებისთვის;
- დევნილთა უფლებები და საკუთრების საკითხები;

(2) მოძრაობა „ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი“

2021 წლის 11 ივნისს, სასტუმრო „თბილისი მერიოტში“, ხელი მოეწერა დეკლარაციას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მოძრაობას **„ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი“**.

დეკლარაციას ხელი მოაწერეს:

- სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა;
- საქართველოს სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ;
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ დავით ასათიანმა;
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ თორნიკე ჭეიშვილმა;
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს უფროსმა თეა ახვლედიანმა;
- რეგიონული მმართველობის დეპარტამენტის წარმომადგენელმა თეიმურაზ შეყლაშვილმა;
- საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა;
- საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორმა ლონდა თოლორაიამ;

შეხვედრის ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა, რაჟდენ კუპრაშვილმა, პარტნიორი უწყებების წარმომადგენლებს გააცნო ის მთავარი საფუძვლები, რომლებმაც გამოიწვია პროექტის „ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი“, საჭიროება.
სამსახურის დირექტორის პირველმა მოადგილემ ნინო მელაძემ პრეზენტაციის ფარგლებში წარადგინა ის აქტივობები, რომელთა განხორციელებასაც სამსახური დეკლარაციაზე ხელმომწერი უწყებებისა და დონორთა მხარდაჭერით გეგმავს.

მოძრაობას მხარი დაუჭირა ევრო საბჭომ (COE) და "კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში" USAID/PROLoG -მა.

2021 წელს, სამსახურმა მოძრაობა „ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი"-ის პრაქტიკული რეალიზაცია დაიწყო 3 მიმართულებით. კერძოდ:

- გასვლითი საინფორმაციო-საკონსულტაციო ღონისძიებები;
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იმიტირებული პროცესები;
- „იცოდე შენი უფლება 18 წლამდე";

1. გასვლითი საინფორმაციო-საკონსულტაციო ღონისძიებები

2021 წელს, მოძრაობა „ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი"-ის ფარგლებში სამსახურის მიერ განხორციელდა გასვლითი საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა.

შეხვედრის ფარგლებში მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია, შემდეგ სამართლებრივ საკითხებზე:

- უფასო სამართლებრივი დახმარების მიღების კრიტერიუმები და პირობები;
- იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები;
- დამცავი და შემაკავებელი ორდერები;
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის თავისებურებები;
- ბავშვის უფლებები;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები;
- სერვისები ეთნიკური უმცირესობებისთვის;
- დევნილთა უფლებები;
- ნარკოდანაშაული;
- შრომითი უფლებები;
- დისკრიმინაცია;

2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იმიტირებული პროცესები

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იმიტირებული პროცესების ჩატარების მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებაში ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის ცნობადობის გაზრდა, მართლმსაჯულების ინსტიტუტებისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლება, ადგილობრივი მოსახლეობის მომზადება რეალური სასამართლო პროცესებისთვის.

იმიტირებული პროცესები თავის მხრივ, საზოგადოებრივ ადვოკატებს აძლევს დამატებით გამოცდილებას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პროცესებზე მონაწილეობისათვის საჭირო უნარების განვითარებისა და დახვეწისათვის.

იმიტირებულ პროცესებში ნაფიცი მსაჯულების სახით მონაწილეობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები, ხოლო მოსამართლის, მხარეების, ადვოკატების, მოწმეების, პროკურორისა და პროცესის სხვა მონაწილეთა როლს ითავსებდნენ სამსახურის ადვოკატები და ადმინისტრაციის თანამშრომლები.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იმიტირებული პროცესები საქართველოს მასშტაბით ჩატარდა 8 მუნიციპალიტეტში. კერძოდ:

- ცაგერში;
- გორში;
- ახალციხეში;
- მესტიაში;
- თელავში;
- ქუთაისში;
- ბათუმში;
- ქედაში;

3. საინფორმაციო კამპანია „იცოდე შენი უფლება 18 წლამდე“

არასრულწლოვანთა სამართლებრივი ცნობიერების გაზრდის მიზნით, თბილისისა და რეგიონების სკოლებში 200-მდე მოსწავლესთან განახორციელა საინფორმაციო შეხვედრები, რა დროსაც სკოლის მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია შემდეგ თემებზე:

- ბავშვის უფლებები;
- ბულინგი;
- დისკრიმინაცია;
- ტოლერანტობა,;
- გენდერული თანასწორობა;
- ოჯახში ძალადობა;
- შრომითი უფლებები;
- განრიდება და მედიაცია;

შეხვედრები ჩატარდა:

- თბილისის მე-200 სკოლაში;
- მესტიის მე-2 საშუალო სკოლაში;

- ქუთაისის რამდენიმე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, რომლებიც გაერთიანებული არიან „ ააიპ "ინფორმაციული დეველოპერული ჰაბში" და ასრულებენ სხვადასხვა ინტელექტუალურ დავალებებს;
- თბილისის სკოლა-პანსიონი "აიბი მთიებში";

სამსახურის მიერ მომზადდა ვიდეო რგოლები, სადაც სამსახურის ადვოკატები ბავშვისათვის გასაგებ ენაზე საუბრობენ ბავშვის უფლებებზე. ვიდეო რგოლებში მიმოხილულია ბავშვის შემდეგი უფლებები:

- თამაშისა და დასვენების უფლება - https://youtu.be/RRbw7SEfi14 ;
- ძალადობისგან დაცვის უფლება - https://youtu.be/HFaBcJIcvcs ;
- მშობელთან ცხოვრების უფლება https://youtu.be/HFaBcJIcvcs ;
- განათლების უფლება - https://youtu.be/HFaBcJIcvcs;
- საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება - https://youtu.be/HFaBcJIcvcs

სამსახურის მიერ ბავშვის უფლებებზე მომზადდა, ასევე, საბავშვო ანიმაციური კომიქსი, რომელიც სპეციალურად შექმნილი ნახატების საშუალებით ბავშვებს განუმარტავს თავიანთ უფლებებს - https://children.las.ge/ka/comix/19/gavigot-bavshvis-uflebebi-3-tsutshi. კომიქსის ესკიზები მომზადდა შვეიცარიელი მხატვრის დევიდ ლავინეს და სპონსორს ჰეინერ დიერინგის მხარდაჭრით.

გარდა ამისა, სამსახურმა მოამზადა ვიდეორგოლი, სადაც ბავშვები თვითონ ჰყვებიან თავიანთ უფლებებზე: https://youtu.be/96eyWhNmlrg

მოძრაობის ფარგლებში ღონისძიებების ნაწილი განხორციელდა ევროსაბჭოსა (COE) და პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) ფინანსური მხარდაჭერით.

2022 წელს, მოძრაობა „ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი“-ის ფარგლებში იურიდიული დახმარების სამსახურმა ჩაატარა 63 საინფორმაციო გასვლითი შეხვედრა.

შეხვედრის ფარგლებში მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია შემდეგ სამართლებრივ საკითხებზე:

- უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემა საქართველოში და დახმარების მიღების კრიტერიუმები;
- იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები;
- ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა, ეთიკის საკითხები;
- ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის საკითხები;
- დამცავი და შემაკავებელი ორდერები;
- ბავშვის უფლებები;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები;
- ტრეფიკინგი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები;

- დისკრიმინაცია;

2022 წელს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს 12 იმიტირებული პროცესი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა 9 მუნიციპალიტეტში. კერძოდ:

- თბილისი;
- რუსთავი;
- ლანჩხუთი;
- აბაშა;
- ზუგდიდი;
- ფოთი;
- ხონი;
- ოზურგეთი;
- ბათუმი;

არასრულწლოვანთა სამართლებრივი ცნობიერების გაზრდის მიზნით, თბილისისა და რეგიონების სკოლებში ჩატარდა 6 შეხვედრა, რა დროსაც სკოლის მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია შემდეგ თემებზე:

- ბავშვის უფლებები;
- ბულინგი;
- დისკრიმინაცია;
- ტოლერანტობა;
- ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობა;
- გენდერული თანასწორობა;
- ოჯახში ძალადობა;
- შრომითი უფლებები;
- განრიდება და მედიაცია.

შეხვედრები ჩატარდა:

- სოფელ ჭრებალოს საჯარო სკოლაში;
- თბილისის N18 საჯარო სკოლაში;
- თბილისის N124 საჯარო სკოლაში;
- ფოთის ილია ჭავჭავაძის სახელობის N5 საჯარო სკოლაში;
- ფოთის გიორგი ჭყონდიდლის სახელობის N7 საჯარო სკოლაში;
- თბილისის N169 საჯარო სკოლაში;
- ონის სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლაში;

(3) პროექტი „პარალეგალები“

2022 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის ინიციატივით, მოძრაობის „ვაქციოთ კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომი“ ფარგლებში, დაიწყო პროექტი „პარალეგალები“.

პარალეგალი არის არაიურისტი პირი, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ, დაგეგმილი გადამზადების პროგრამის გავლის შემდეგ, შეძლებს მოსახლეობას გაუწიოს პირველადი კონსულტაცია სამართლებრივ საკითხებზე. პარალეგალი შესაძლოა იყოს ნებისმიერი პროფესიისა და საქმიანობის პირი ან პროფესიის არმქონე პირი, საჯარო თუ კერძო სექტორში დასაქმებული პირი, ან პირი, რომელიც საერთოდ არ არის დასაქმებული, რომელსაც აქვს შესაბამისი ცოდნის შეძენისა და ამ ცოდნის საზოგადოებისათვის მიწოდების სურვილი. პარალეგალის დანიშნულებას წარმოადგენს, ასევე, სამსახურისათვის დახმარების გაწევა ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციაში, ადგილობრივი ადათ-წესებისა და ჩვეულებების გათვალისწინებით.

პროექტის ფარგლებში, სამსახურმა შექმნა პარალეგალების ქსელი (არაიურისტი პირების რეესტრი), რომლის საშუალებითაც ადგილობრივ მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაცია მათი უფლებების, ასევე, უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ და გაეწევა პირველად სამართლებრივი კონსულტაცია.

პირველ ეტაპზე, სამსახურმა საქართველოს მასშტაბით განახორციელა პროექტ „პარალეგალში“ მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია.

მსურველთა რეგისტრაციის შემდგომ, აჭარის რეგიონში USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით (USAID/Rolp) უკვე აქტიურად დაიწყო პარალეგალების გადამზადება.

პარალეგალებმა გაიარეს გადამზადების კურსები შემდეგ საკითხებზე:

- „ადამიანით ვაჭრობა, ტრეფიკინგი“;
- „ქალთა უფლებების დაცვა საქართველოში. ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაცია, გენდერული ნიშნით ძალადობა, სახელმწიფოს როლი ქალის უფლებების დაცვაში“;
- „ბავშვის საუკეთესო ინტერესის უპირატესობა“;
- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“;

პროექტის ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურმა, პარალეგალების ჩართულობით 9 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა გამართა. შეხვედრების მთავარ თემებს წარმოადგენდა: უფასო იურიდიული დახმარების მიღების კრიტერიუმები, ბავშვის უფლებათა კოდექსის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის საკითხები.

2022 წელს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში გაიმართა 2 იმიტირებული სასამართლო პროცესი პარალეგალი ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. სასამართლო პროცესში მოსამართლის როლი შეასრულა ამერიკელმა მოსამართლემ ჯეიმს რედვაინმა.

(4) ჟურნალი „საზოგადოებრივი ადვოკატი“

2020 წლის ნოემბერ-დეკემბერში იურიდიული დახმარების სამსახურის ისტორიაში პირველად მომზადდა სამართლებრივი ჟურნალი „საზოგადოებრივი ადვოკატი“.

ჟურნალი განკუთვნილია, როგორც იურიდიული წრეების წარმომადგენლებისათვის, ასევე, ფართო საზოგადოებისათვის და მიზნად ისახავს საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას და სხვადასხვა მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხების დამუშავებას.

2020-2022 წლებში გამოიცა ჟურნალის 3 ნომერი.

ჟურნალი „საზოგადოებრივი ადვოკატის“ პირველი ნომერი მოიცავს შემდეგ საკითხებს (სტატიები, ინტერვიუები, ინფორმაცია):

- სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის დავით ასათიანის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ნინო ქადაგიძის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მერაბ ტურავას, საქართველოს გენერალური პროკურორის ირაკლი შოთაძის, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ანრი ოხანაშვილის, საქართველოს სახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თამარ ზარანდიას მილოცვა;
- „გზა მომავლისკენ“- ინტერვიუ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორთან რაჟდენ კუპრაშვილთან სამსახურის რეფორმებსა და განვითარების გეგმებზე;
- „ნომრის სტუმარი“ - ინტერვიუ „USAID-საქართველოს“ კანონის უზენაესობის პროგრამის მენეჯერთან რუსუდან ტაბატაძესთან, უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემაზე;
- „ასე დაიწყო და ...“ - ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსის გელა ბერაძის სტატია იურიდიული დახმარების სამსახურის დაარსებაზე;
- „დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ“ - ინტერვიუ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორ, აკადემიკოს ჯონი ხეცურიანთან, ბოლო 30 წლის განმავლობაში, საქართველოში მართლმსაჯულების სისტემის განვითარებაზე;
- „უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“ - სტატიის ავტორი: ლაშა კალანდაძე, შპს „სამართლებრივი და ფინანსურის კონსალტინგი-მეტრიკა“-ს დამფუძნებელი, პარტნიორი და დირექტორი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე;
- „სასამართლო ახალ რეალობაში“ - ინტერვიუ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლესთან, სამართლის დოქტორთან, ალექსანდრე წულაძესთან, სასამართლო რეფორმის შესახებ;
- „დისტანციური სამართალწარმოება, საერთაშორისო გამოცდილება, გამოწვევები და შესაძლებლობები“ - სტატიის ავტორი: ნინო მელაძე, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის პირველი მოადგილე;
- „დავის გადაწყვეტის ახალი მექანიზმი - მედიაცია“ - სტატიის ავტორი: ირაკლი ყანდაშვილი, სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე, სამართლის დოქტორი, პროფესორი;
- „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ - სტატიის ავტორი: სულხან გველესიანი, სსიპ იურიდული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე;

- „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო - პასუხისმგებლობის და ემოციების უდიდესი კონცენტრაციის ადგილი“ - ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი გელა სიორდია და თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი სულხან კომახიძე;
- „რამ განარისხა მამაკაცები“ - ზაზა ჯღარკავას სტატია რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის სპექტაკლზე „თორმეტი განრისხებული მამაკაცი;
- „შარდენი ქართულ სამართალზე“ - ზაზა ჯღარკავას სტატია XVII საუკუნის ფრანგი მწერლის ჟან შარდენის საქართველოში მოგზაურობისას აღწერილ სამართალწარმოების პროცესზე;
- ფოტორეპორტაჟი ახალი ოფისების გახნის ღონისძიებებიდან;
- „წერილიც და სიხარულიც“ - მადლიერი ბენეფიციარების წერილები;
- „როცა კანონიც ხუმრობს“ - სახალისო კანონები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში;
- საკონტაქტო ინფორმაცია იურიდიული დახმარების სამსახურის ოფისების შესახებ;

2021 წელს, დაიბეჭდა ჟურნალ „საზოგადოებრივი ადვოკატის“ მეორე ნომერი. ჟურნალი მოიცავს შემდეგი სახის პუბლიკაციებს:

- რედაქტორის სვეტი - ავტორი რაჟდენ კუპრაშვილი, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი;
- "ვაქციოთ კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომი", დეკლარაცია - ავტორი ზაზა ჯღარკავა, ჟურნალისტი;
- მომავალი არის დღეს (ხელოვნური ინტელექტის გამოყენება) - ავტორი ნინო ჩუტკერაშვილი, იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი;
- სოციალური პოლიტიკა ევროპაში (შედარებითი ანალიზი) - ავტორი სულხან გველესიანი, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე;
- ასოცირების ხელშეკრულება - გზა ევროკავშირისკენ - ავტორი დავით სიმონია, იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური სამმართველოს უფროსი;
- მტკიცების ტვირთი, მცდარი სამედიცინო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას - ავტორი ნინო მელაძე, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის პირველი მოადგილე;
- საერთაშორისო დაცვა საქართველოში - ავტორი თეა ყაულაშვილი, თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი;
- შრომის უსაფრთხოება და უფლებები - ავტორი ნათია ბერძენიშვილი, მცხეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი;
- პირობითი მსჯავრის მიზნები - ავტორი მაგდა შინჯიკაშვილი, თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი;
- ოკუპაციას გადარჩენილი განძი - ავტორი ზაზა ჯღარკავა, ჟურნალისტი;
- ხამურაბის კანონები და თანამედროვე სამართალი- ავტორი ირინა ბარბაქაძე, მცხეთის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტი;
- წერილიც & სიხარულიც - ბენეფიციართა მადლობის წერილები - მოამზადა ჟურნალის რედაქტორმა ბიძინა მაყაშვილმა
- ფოტო ამბები - ფოტოკოლაჟი მომზადებულია ფოტოგრაფების ალექსანდრე სხულუხიას, თორნიკე ტურაბელიძის და იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერ მარიამ ბერიძის მიერ გადაღებული ფოტოების მიხედვით.

- იუმორი - მოამზადა თარჯიმანმა ლეილა ბერიშვილმა.

ჟურნალში ასევე მოცემულია ინფორმაცია იურიდიული დახმარების სამსახურის ახალი ლოგოს შესახებ და რეგიონული ოფისების კონტაქტები.

2022 წელს, დაიბეჭდა ჟურნალ „საზოგადოებრივი ადვოკატის“ მესამე ნომერი. ჟურნალი მოიცავს შემდეგი სახის პუბლიკაციებს:

- რედაქტორის სვეტი - ავტორი რაჟდენ კუპრაშვილი, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი;
- პარალეგალები - ახალი პროექტი - ავტორი ზაზა ჯღარკავა, ჟურნალისტი;
- ჭარბვალიანობის მიზეზები და მისი აღმოფხვრის გზა - ავტორი რაჟდენ კუპრაშვილი, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი;
- იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი - ავტორი მარიამ ბურკაძე, იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრის უფროსი;
- ცვლილებები შპს-ის სამართალში - ავტორი ირაკლი ბურდული, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;
- მხარეთა ავტონომიის, არსობრივ და პროცედურული სამართლიანობის პრინციპი მედიაციაში - ავტორი ნათია ჩიტიაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;
- არსებითი დარღვევა და მისი მტკიცების ტვირთი სამართალში - ავტორი გიორგი მიქელაძე, ბათუმის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი;
- ფსიქოლოგთა თვალით დანახული მშობელი - ავტორები თამარ სიმონია და ქეთევან ჯაყელი, იურიდიული დახმარების სამსახურის ფსიქოლოგები;
- ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების ვალდებულება საერთაშორისო სამართალში - ავტორი გიორგი ბაღდავაძე, საერთაშორისო საჯარო სამართლის მაგისტრი;
- სამართლის ტექნოლოგიების გამოყენება ლტოლვილთა სამართლებრივი კონსულტაციისთვის - ავტორი ლადო სირდაძე, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;
- რა ემუქრება პუტინს, ინტერვიუ პოლიტოლოგ პაატა ზაქარეიშვილთან - ავტორი ზაზა ჯღარკავა, ჟურნალისტი;
- დარღვეული პირობა, როგორ დათმო უკრაინამ ბირთვული შეიარაღება 1994 წელს - ავტორი ზაზა ჯღარკავა, ჟურნალისტი;

(5) რადიო პროექტი „სამართლებრივი რჩევები“

2020 წლის 6 ივლისიდან იურიდიული დახმარების სამსახური ახორციელებს რადიო პროექტს "სამართლებრივი რჩევები", რომლის მიზანია მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება.

გადაცემა ეთერში გადის ყოველ ორშაბათს, 11 საათიანი საინფორმაციო გამოშვების შემდეგ და მას უძღვება იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი რაჟდენ კუპრაშვილი, რომელიც სტუმრებთან ერთად განიხილავს აქტუალურ სამართლებრივ საკითხებს. მოსახლეობას აქვს საშუალება პირდაპირ ეთერში დაუსვას კითხვები სტუმრებს და კვალიფიციური სპეციალისტისაგან მიიღოს შესაბამისი პასუხები.

2020 წელს, რადიო "იმედის" ეთერში გავიდა 22 გადაცემა, რომლის აუდიო/ვიდეო ჩანაწერები პერიოდულად ქვეყნდება, როგორც რადიო „იმედის“ ვებ და ფეისბუკ გვერდებზე, ასევე, იურიდიული დახმარების სამსახურის ფეისბუკ გვერდზეც. გადაცემას ერთობლივად ჰქონდა 350 000-ზე მეტი ნახვა და 315 გაზიარება.

2021 წელს, რადიო იმედის ეთერში გავიდა „სამართლებრივი რჩევების“ 41 გადაცემა. 2021 წელს, სოციალურ ქსელში (facebook) რადიო გადაცემის ნახვების რაოდენობამ შეადგინა 342 986-ს. „სამართლებრივი რჩევების“ შედეგად, იურიდიული დახმარების სამსახურის გვერდს დაემატა - 1145 მოწონება.

2022 წელს, რადიო იმედის ეთერში გავიდა „სამართლებრივი რჩევების“ 39 გადაცემა. 2022 წელს, სოციალურ ქსელში (facebook) რადიო გადაცემის ნახვების რაოდენობამ შეადგინა 889 837-ს.

(11) სამსახურის ცნობადობა

2020 წელს, საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით დაიწყო სამსახურის ახალი ლოგოს შემუშავების პროცესი.

2021 წლის 22 იანვარს, იურიდიული დახმარების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება (N 89) სამსახურის ახალი სიმბოლოს (ლოგოს) დამტკიცების შესახებ.

სამსახურის ახალი ლოგოს შემუშავება განხორციელდა ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით და შეთანხმებით.

იურიდიული დახმარების სამსახურის ლოგო 2021 წლის 1 თებერვლიდან არის ლაჟვარდის არშიით შემოსაზღვრული. ჰერალდიკური ფარის ვერცხლის ველზე გამოსახულია ჰერალდიკური ფარი არშიით. მცირე ფარის ვერცხლის ველის ზედა ნახევარზე დატანილია საქართველოს სახელმწიფო დროშის მეწამული ხუთჯვრიანი გამოსახულება, ხოლო ქვედა ნაწილში კლასიკური სვეტის მეწამული სტილიზებული ფიგურა.

ლოგოს ცვლილებასთან დაკავშირებით განხორციელდა სამსახურის ოფისებზე არსებული აბრების შეცვლა. ახალი ლოგო დაფიქსირდა სამსახურის ბლანკებზე, ვებგვერდებსა და სოციალური ქსელების გვერდებზე, ბანერებზე, დროშებზე, ბეჭდვით მასალასა და ფოტო-ვიდეოპროდუქციაზე.

2020 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურს ივლისის თვეში, სამთავრობო დადგენილებით გამოეყო 4 ნიშნა ცხელი ხაზის ნომერი.

IV. სხვა სახის აქტივობები

(1)გლობალური პანდემიის (Covid-19) ფარგლებში სამსახურის შეუფერხებლად საქმიანობის, კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და თანამშრომელთა, ბენეფიციართა და სხვა პირთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით განხორციელებული აქტივობები

❖ 2020 წლის 2 მარტიდან, საკონსულტაციო ცენტრები გადავიდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე;

❖ 2020 წლის 13 მარტიდან სამსახური სრულად გადავიდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე;

❖ პანდემიის დაწყებისთანავე, დაუყოვნებლივ იქნა მიღებული გადაწყვეტილება სამსახურის სამი თანამშრომლის თვითიზოლაციაში ყოფნის შესახებ, ვინაიდან ისინი 2020 წლის 12 მარტამდე 2 კვირით ადრე იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ ან/და ჰქონდათ კომუნიკაცია საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ პირებთან;

❖ მაღალი რისკის ჯგუფში შემავალ 9 თანამშრომელთან მიმართებით დადგინდა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების განსხვავებული წესი. აღნიშნული პირებისათვის დადგინდა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება ისეთ საქმეებზე, რომლებიც შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ სახლიდან. აღნიშნული 9 ადვოკატის ის საქმეები, რომლებიც საჭიროებდა სასწრაფო რეაგირებას გადაეცა მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ ადვოკატებს;

❖ იურიდიული დახმარების სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნდა სამსახურის დირექტორის 4 განცხადება:

- 2020 წლის 12 მარტს - იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის განცხადება, დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით;

- 2020 წლის 16 მარტს - რეკომენდაციები იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებისათვის კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით;

- 2020 წლის 16 მარტს - განცხადება, უფასო სამართლებრივი დახმარების შეთავაზების შესახებ საზღვარგარეთ მყოფ ქართველი ემიგრანტებსა და ჩვენი თანამემამულეებისადმი, რომლებიც კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული მდგომარეობიდან გამომდინარე, ევროპის სხვადასხვა ქალაქებში იმყოფებოდნენ;

- 2020 წლის 31 მარტს - განცხადება, კომენდანტის საათის დროს თანამშრომელთა გადაადგილების პირობების შესახებ;

❖ დადგინდა დოკუმენტების (სამსახურებრივი ბარათი, განცხადება, წერილი და ა.შ.) ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემასთან (eflow) ერთად,

ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიწოდების შესაძლებლობა, მათ შორის მივლინების, შვებულების და ა.შ.;

❖ ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) თანამშრომლების მიერ, უზრუნველყოფილ იქნა საზოგადოებრივი ადვოკატებისათვის ZOOM-ისა და WEBEX-ის პროგრამების დაინსტალირების მხარდაჭერა, სამსახურებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე და სასამართლოს პროცესებზე დისტანციურად ჩართვის მიზნით;

❖ ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) თანამშრომლების მიერ, უზრუნველყოფილ იქნა იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაზე (case-bank) წვდომა დისტანციურად სახლიდან, რათა თანამშრომელთათვის შესაძლებელი ყოფილიყო საქმეებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება;

❖ კომუნიკაციის უწყვეტად განხორციელებისათვის შეიქმნა „WhatsAPP"-ის ჯგუფები;

❖ პენიტენციურ დაწესებულებებთან და დროებითი მოთავსების იზოლატორებთან კომუნიკაციით, შესაძლებელი გახდა ბრალდებულებთან სატელეფონო კომუნიკაცია;

❖ ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები;

❖ სამსახურმა შეიძინა და თანამშრომლებს გადასცა სახის დამცავი ნიღბები, რეზინის ხელთათმანები, სახის დამცავი ფარები, ხელისა და ავეჯის სადეზინფექციო ხსნარები;

❖ ქალაქების ჩაკეტვისა და კომენდანტის საათის დაწესებიდან გამომდინარე, სამსახურმა განახორციელა სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, ადვოკატებისა და მძღოლების თავისუფლად გადაადგილებისათვის საშვებით უზრუნველყოფა;

❖ მომსახურების ხარისხის კონტროლის მიზნით, შემუშავდა კონსულტაციის აღრიცხვის და საზოგადოებრივი ადვოკატის წარმოებაში არსებულ საქმეთა მიმდინარეობისა და სამუშაო გრაფიკის თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენის ფორმები, გაიწერა შევსების ინსტრუქცია და დადგინდა ამ ფორმების სისხლის სამართლის საქმეებზე, იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების და სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე, იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველოებისათვის მიწოდების ვადლებულება;

❖ ყოველკვირეულად, USAID-Prolog-თან "*კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში*" თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარეობდა სამოქალაქო/ადმინისტრაციული სპეციალიზაციით მომუშავე ადვოკატთა გამოკითხვა დისტანციური პროცესების მიმდინარეობისა და გამოვლენილი ხარვეზების შესახებ და მზადდებოდა შესაბამისი ანგარიშ(ებ)ი;

❖ ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) თანამშრომლების მიერ, განხორციელდა ქოლცენტრის კონსულტანტების მიერ სამსახურის ცხელ ხაზზე შემოსულ ზარებზე დისტანციურ რეჟიმში სახლიდან პასუხის გაცემის უზრუნველყოფა;

❖ ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) თანამშრომლების მიერ, განხორციელდა იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსებისთვის და აპარატის თანამშრომლებისათვის სამსახურის ქსელში VPN დაშვების და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემაში (eflow) დისტანციურად, სახლიდან მუშაობის უზრუნველყოფა;

❖ დადგინდა სამსახურში დაგეგმილი გადამზადების პროგრამების დისტანციურად ჩატარების წესი. 2020 წელს ჩატარებული ტრენინგების უმრავლესობა (ტრენინგების 80%) ჩატარდა დისტანციურად zoom.us-ის პლატფორმაზე. სამსახურის თანამშრომლებს მიეწოდათ ინფორმაცია და გაეწიათ ტექნიკური დახმარება დისტანციური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით. ტრენინგებზე რეგისტრაცია, ტრენინგებზე მონაწილეობა და ტრენინგის შემდგომი შეფასება განხორციელდა დისტანციური საშუალებებით;

❖ საკონკურსო კომისიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამსახურში გამოცხადებულ კონკურსებთან დაკავშირებით გასაუბრებ(ებ)ის დისტანციურ რეჟიმში ჩატარების შესახებ. ამისათვის, ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოსა და ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) თანამშრომლების მიერ, განხორციელდა კონკურსანტების ტექნიკური მხარდაჭერა;

❖ იურიდიული დახმარების სამსახურის სტაჟიორებისა და კლინიკის ფარგლებში მიღებული სტუდენტებისათვის დადგინდა დისტანციური სამუშაო რეჟიმი და შემუშავდა მათი შეფასების შესაბამისი სისტემა. სტუდენტებისათვის დადგინდა მენტორ ადვოკატებთან კომუნიკაციის ონლაინ პლატფორმა;

❖ დამუშავდა გაეროს განვითარების პროგრამის, გაეროს ნარკომანიისა და დანაშაულის ოფისის მიერ მომზადებული სახელმძღვანელო COVID-19-ის ფარგლებში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა იმ ბენეფიციართა წრე, რომლებიც პანდემიიდან გამომდინარე შესაძლოა აღმოჩნდნენ კიდევ უფრო მოწყვლად მდგომარეობაში. განხორციელდა იმ საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც აქტუალურია პანდემიის პირობებში და განისაზღვრა სამსახურისა და ადვოკატების დამატებითი ვალდებულებები, განსაკუთრებით საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებისა და საინფორმაციო/საკონსულტაციო ღონისძიებების დაგეგმვისა და რეალიზაციის კუთხით;

❖ **2020 წელს,** პროექტის - "ონლაინ სამართლებრივი მხარდაჭერა უცხოეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისთვის საქართველოში არსებულ სამართლებრივ პრობლემებთან დაკავშირებით" ფარგლებში სამსახურის სერვისით ისარგებლა 80-მდე ემიგრანტმა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან;

(2) სააღრიცხვო პოლიტიკის დანერგვა

2009 წელს, საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და ევროკავშირთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობამ იკისრა ვალდებულება საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს) დანერგვის თაობაზე. აღნიშნული რეფორმის სტრატეგია აისახა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 3 ნოემბრით დამტკიცებულ N701 ბრძნებაში ,,საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სამოქმედო გეგმა“, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებას სსბასს-ი შესაბამისად. რეფორმის მიზანია, რომ საჯარო სექტორის ერთეულების მიერ გამოყენებული რესურსების შესახებ, ინფორმაცია აღქმადი იყოს ნებისმიერი მოქალაქეებისათვის.

2020 წელს, სამსახურის სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისათვის გადამზადდა თანამშრომელი, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და მოეწყო სამუშაო შეხვედრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის წარმომადგენელთან. აღნიშნულის საფუძველზე შემუშავდა სამსახურის სააღრიცხვო პოლიტიკა.

სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოადგენს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ, ფინანსური ანგარიშგების (ბალანსის) მომზადებისა და წარდგენის დროს გამოყენებული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობას.

სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება მიმდინარეობდა საერთაშორისო სტანდარტების დამდგენი სხვა უწყების უკანასკნელი ოფიციალური გამოცემების მხედველობაში მიღებით და საჯარო და კერძო სექტორში მიღებული პრაქტიკის გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

პოლიტიკის შემუშვებისას შეხვედრები და კონსულტაციები გაიმართა სამსახურის სხვადასხვა სამმართველოებთან, რათა სიღრმისეულად ყოფილიყო გათვალისწინებული სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სპეციფიკა და თავისებურება.

სამსახურს სააღრიცხვო პოლიტიკაში გაიწერა შემდეგი საკითხები:

- ბიუჯეტის შედგენის პროცედურები;
- შესყიდვების პროცედურები;
- ძირითადი საშუალებების აღრიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები;
- არამატერიალური აქტივების აღრიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები;
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები;
- არა გაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები;
- სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურში ინვესტიციების განმახორციელებელ (დონორები) ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხები;
- ხარჯების აღრიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები;
- ინვენტარიზაციის ჩატარებასთან დაკავშირებული პროცედურები;

- და სხვა.

სამსახურის სააღრიცხვო პოლიტიკით შემუშავებული და დანერგილი იქნა ბუღალტრული აღრიცხვის ისეთი პირველადი დოკუმენტაცია, როგორიცაა ინდივიდუალური და ნაერთი (კრებსითი) დოკუმენტები, აგრეთვე, მაგროვებელი დოკუმენტები, რომლებიც სრულად ასახავენ სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებულ სპეციფიკასა და თავისებურებებს და ამავე დროს, სრულ შესაბამისობაში არის მოქმედ კანონმდებლობასთან.

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკა ასახვას პოულობს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსში), რომელიც შეიცავს საიმედო და შესაბამის ინფორმაციას, იმ ოპერაციების, სხვა ეკონომიკური მოვლენების ან პირობების შესახებ, რომლებისთვისაც იგი გამოიყენება.

სააღრიცხო პოლიტიკაში გადმოცემული ინფორმაცია არის მარტივი და აღქმადი, რათა ნებისმიერმა მოქალაქემ შეძლოს ძირითად ფინანსურ ინფორმაციაზე აქცენტის გაკეთება.

სამსახურის მიერ შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკით შესაძლებელია სრულყოფილად და გამჭვირვალედ წარმოჩინდეს რამდენად ეკონომიურად შეიძინა და ეფექტურად მოიხმარა სამსახურმა რესურსები და რამდენად იცავდა სამსახური კანონმდებლობას და სხვა აქტებს.

(3) ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება

2020 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურში დაინერგა სერვერების ვირტუალიზაციის სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა უფრო ეფექტურად იქნეს გამოყენებული არსებული სერვერების რესურსი, კერძოდ ვირტუალიზაციის სისტემა საშუალებას იძლევა ერთ ფიზიკურ სერვერზე გაეშვას რამდენიმე ვირტუალური სერვერი. კერძოდ, განხორციელდა:

❖ ვირტუალიზაციის პლატფორმის აწყობა VMWare-ის ბაზაზე და გაშვება მუშა რეჟიმში;

❖ 2019 წელს შეძენილი სერვერის DL380 Gen 10-ის სამუშაო რეჟიმში გაშვება, ვირტუალიზაციის პლათფორმის დაყენება და საჭირო სერვისების გამართვა.

❖ იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტაციის ცხელი ხაზის ნომერი 2920055 და ივლისის თვეში სამთავრობო დადგენილებით გამოყოფილი 4 ნიშნა ცხელი ხაზის ნომერი 1485 გადმოტანილი იქნა და გაეშვა სამსახურის სერვერზე. კერძოდ:

- ცხელი ხაზის ნომერი 1485 იმავე თვეში გაეშვა სამსახურის სერვერის ოთახში განთავსებულ IP ტელეფონის სერვერზე;
- ცხელი ხაზის ნომერი 2 92 00 55 გადმოტანილი იქნა სამსახურის სერვერის ოთახში განთავსებულ IP ტელეფონის სერვერზე;

❖ 2020 წელს, განხორციელდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 1 ბიუროს - ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროსა და 16 საკონსულტაციო ცენტრის: ჭიათურის, ლაგოდეხის, ხობის, დუშეთის, დმანისის, ყვარლის, აბაშის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ქედას, ხულოს, ქობულეთის, წყალტუბოს, ბაღდათის ტექნიკური უზრუნველყოფა;

❖ შეკეთდა 9 ერთეული კომპიუტერული ტექნიკა და 1 ერთეული პრინტერი;

❖ პანდემიის გამოცხადების და დისტანციურ მუშაობაზე გადასვლის შემდეგ განხორციელდა სამსახურის ადვოკატების კომპიუტერებში სასამართლო სხდომებზე დისტანციურად ჩართვისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია და გამართვა.

❖ სამსახურის მიერ შეძენილი იქნა ქსელური აპარატურა (მარშრუტიზატორი Cisco ISR 4331) და ფაერვოლი (Next Generation Firewall-ის Fortigate 60F), რომლებიც ინტეგრირებული იყო სამსახურის კომპიუტერულ ქსელში, ამ აპარატურის მეშვეობით პანდემიის გამოცხადების შემდეგ:

- სამსახურის ქოლცენტრის თანამშრომლები სახლიდან დისტანციურად იყვნენ ჩართული სამსახურის ქსელში (VPN კავშირის საშუალებით) და უზრუნველყოფდნენ ცხელ ხაზზე შემოსული მოქალაქეების ზარებზე კონსულტაციების გაწევას;

- აპარატის თანამშრომლები და ბიუროს უფროსები დისტანციურ რეჟიმში იყვნენ ჩართული სამსახურის ქსელში (VPN კავშირის საშუალებით), რაც საშუალებას აძლევდათ სახლიდან მიეღოთ წვდომა საქმიანობისთვის საჭირო ყველა სერვისზე.

2021 წელს, ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის/განვითარების მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

❖ თბილისისა და რუსთავის იურიდიული დახმარების ბიუროებში დამონტაჟდა თანამშრომლების დაშვების და აღრიცხვის ელექტრონული სისტემა;
❖ განხორციელდა ახალი 5 საკონსულტაციო ცენტრის - ახმეტა, დედოფლისწყარო, ხაშური, ლენტეხი და ონის, ტექნიკური უზრუნველყოფა;
❖ საკონსულტაციო ცენტრებში განხორციელდა იურიდიული დახმარების სამსახურის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის „Eflow"-ს ძველი სერვერიდან ახალ სერვერზე გადატანა ასევე, პარალელურად მოხდა Eflow-ს ბოლო აქტუალური ვერსიის განახლება;
❖ განხორციელდა იურიდიული დახმარების სამსახურის სასერვეროში არსებული ქსელური აპარატურის და სერვერული სისტემების და იურიდიული დახმარების ბიუროებში არსებული ქსელური აპარატურის მონიტორინგის პლატფორმის გაშვება. აღნიშნული რეალურ დროში იძლევა სერვერების და ქსელური აპარატურის სხვა და სხვა აუცილებელი მონაცემების და პარამეტრების მონიტორინგის საშუალებას;
❖ განხორციელდა ახალი დომენური სისტემის LAS.GE-ს აწყობა, გაშვება და იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლების კომპიუტერების ახალ დომენურ სისტემასთან დაკავშირება;

❖ იურიდიული დახმარების 9 ბიუროში - ახალციხე, ბათუმი, გორი, ზესტაფონი, ქუთაისი, თელავი, მცხეთა, ოზურგეთი და ფოთი, მოხდა ოპტიკურბოჭკოვანი ინტერნეტ კავშირის შეყვანა და დაკავშირების სიჩქარის გაზრდა. ამ ბიუროებში ასევე მოიხსნა ტექნიკურად მოძველებული და დაზიანებული უკაბელო Wi-Fi ქსელის წვდომის წერტილები და დამონტაჟდა ახალი თანამედროვე სტანდარტების უკაბელო Wi-Fi ქსელის წვდომის წერტილები. მათი დაკავშირება კი მოხდა სერვერთან, საიდანაც შესაძლებელია ყველა ბიუროში არსებული უკაბელო წვდომის წერტილების ცენტრალიზებულად მართვა;

❖ თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში გამოიცვალა მოძველებული ქსელური მარშრუტიზატორი, რომელიც ვერ უძლებდა არსებულ ქსელურ დატვირთვას. გამოიცვალა ასევე უკაბელო Wi-Fi ქსელის წვდომის წერტილებიც;

❖ იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამშრომლების, იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსების და ადვოკატების დისტანციურად მუშაობის უზრუნველყოფისთვის მოხდა ახალ VPN კავშირზე გადაყვანა და ამის განხორციელებისთვის საჭირო ახალი პროგრამული უზრუნველყოფის ჩაწერა, გამართვა და ყოველი თანამშრომლისთვის შესაბამის აპარატურაზე დაშვების უფლების გაწერა;

❖ მცხეთაში ჩატარდა აღმოსავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიუროსთვის შიდა კომპიუტერული ქსელის მოწყობა, შედგენილ სამუშაოების ჩასატარებლად შერჩეულ კომპანიის მიერ განხორციელებული სამუშაოების კონტროლი და სამუშაოების ჩაბარება.

2021 წელს, გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) სამსახურს გადასცა ქსელური ტექნიკა, რომლის საშუალებითაც რეგიონებში მოხდა ინტერნეტის და შიდა ქსელური მუშაობის სიჩქარის გაზრდა.

2021 წელს, პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში" (PROLoG) მხარდაჭერით განხორციელდა იურიდიული საქმისწარმოების საინფორმაციო სისტემის (case-bank) განახლება და გაშვება.

2022 წელს, ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის/განვითარების მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები

❖ ბიუროებში გაიზარდა ინტერნეტის დაკავშირების სიჩქარე. ასევე, ნაწილი ბიუროები რომლებიც ინტერნეტში ჩართული იყვნენ რადიო კავშირით, გადაყვანილი იქნა ოპტიკბოჭკოვანი ინტერნეტ დაკავშირების ტიპზე, რამაც საშუალება მოგვცა, მიგვეღო უფრო სტაბილური და მაღალი სიჩქარის ინტერნეტ კავშირი;

❖ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, (USAID) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ფინანსური მხარდაჭერით, იურიდიული დახმარების სამსახურისთვის შეძენილ იქნა 37 904, 41 დოლარის ღირებულების ტექნიკა, მათ შორის, 1 ერთეული სერვერი, 2 ერთეული კომუტატორი და 5 ერთეული უკაბელო ქსელის წერტილები). გადმოცემის შემდგომ, მოხდა ტექნიკის იურიდიული დახმარების სასერვეროში დაყენება, გაშვება-გამართვა და სამსახურის ერთიან ქსელში ინტეგრაცია;

❖ იურიდიული დახმარების სამსახურმა სატესტო რეჟიმში გაუშვა მობილური აპლიკაცია, რის შემდეგაც მოხდა აპლიკაციის გაშვებასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიკაციის და სხვა სამმართველოებთან ერთად აღმოჩენილი პრობლემების მოგვარება;
❖ მცხეთის ბიურო გადავიდა ახალ საოფისე ფართში, რისთვისაც საჭირო იყო (შიდა კომპიუტერული ქსელის გამართვა, უკაბელო ქსელის აპარატურის მონტაჟი და გამართვა), ხოლო გადასვლის შემდეგ თანამშრომლების სამუშაო ადგილის გამართვა, კომპიუტერული ტექნიკის (სამუშაო სადგურების, პრინტერების) ახალ ქსელში ჩართვა და გამართვა;
❖ განხორციელდა იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის CaseBank-ის ახალ სერვერზე პორტირება.

(4) შიდა დოკუმენტების განახლება

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 4 ივლისის №75 გადაწყვეტილებისა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის 2020 წლის 22 ივლისის LA 2 20 00000603 ბრძანების შესაბამისად იურიდიული დახმარების ბიუროებისა და მათი თანამშრომლების საქმიანობის შესწავლისა და ანალიზის მიზნით შეიქმნა კომისია და სამუშაო ჯგუფი;

ბიუროებისა და მათი თანამშრომლების საქმიანობის შესწავლისა და ანალიზის მიზანს წარმოადგენდა სამსახურის საქმიანობისას არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება და რეფორმის სწორი კურსის დაგეგმვა.

კომისიის და სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა შემდეგი საკითხები:
- სამსახურში გამოცხადება;
- შვებულები, მივლინების საკითხები;
- ადვოკატთა დატვირთულობა;
- კორესპონდენციის საკითხები;
- ადვოკატის დანიშვნის/ადვოკატის დანიშვნაზე უარის საფუძვლიანობა;
- ორდერის გაცემის, გაუქმების საკითხები;
- ადვოკატის მიერ საქმის დასრულების საფუძვლიანობა;
- ადვოკატების მიერ ბენეფიციარის საქმეების წარმოების საკითხები;
- კონსულტაციების აღრიცხვები;
- ნომენკლატურის შესაბამისად დოკუმენტების ფორმირება/აღრიცხვა;
- ავტომობილის საგზურის ფურცლების შესაბამისობა დადგენილ აქტებთან, მოქმედ კანონმდებლობასა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის საჭიროებებთან;
- იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში (case-bank) მონაცემების შევსების სრულყოფილება და დროულობა;
- კვარტალური ანგარიშის შესწავლა;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემაში დადგენილი აქტებით მუშაობის საკითხები;

კომისიის მიერ მომზადებული დოკუმენტებისა და რეფორმის ფარგლებში გამოვლენილი სხვა საჭიროებების შესაბამისად, მომზადდა სამსახურის ახალი შრომის შინაგანაწესის, სამსახურის დებულებისა და ხელშეკრულებების პროექტები, რომლებიც დამტკიცებულ იქნა შესაბამისი წესით.

(5) სამსახურის მიერ გაფორმებული მემორანდუმები

2019-2022 წლებში სამსხურის მიერ გაფორმდა სულ 28 მემორანდუმი.მემორანდუმები ემსახურება სამართლებრივ ცხოვრებასა და მომავალი თაობების განათლებაში სამსახურის აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფას.

- 2019 წელს, სამსახურის მიერ გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის 7 მემორანდუმი;
- 2020 წელს - 6 მემორანდუმი;
- 2021 წელს - 11 მემორანდუმი;
- 2022 წელს - 4 მემორანდუმი;